პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 232 (18474) შაბათი, 9 ოქტომბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

მძლე კავშირი ძმური

ერთიან ოჯახში

ბ. აშიმოვი,
ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ყაზახეთის მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა, მკაფიო, შემოქმედებითი სულისკვეთებით გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

დიდ რუს ხალხთან, ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხთან ურღვევი მეგობრობისა და ერთიანობის, როგორც დიდი და სასიხარულო დღესასწაული, ისე აღნიშნეს რესპუბლიკის მშრომელებმა ღირსშესანიშნავი იუბილე — რუსეთთან ყაზახეთის ნებაყოფლობითი შეერთების 250 წლისთავი. დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ კომუნისტურ მშენებლობაში რესპუბლიკის წვლილის მაღალ შეფასებას, რომელიც მისალმებაში გამოთქვეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, აგრეთვე მისი ლენინის ორდენით დაჯილდოებას. ამიერიდან ყაზახეთის სს რესპუბლიკის დროშაზე ხამი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები კიაფობს.

საბჭოთა ყაზახეთის შექმნა და ჩამოყალიბება განუყრელად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან. 1920 წლის აგვისტოში ვ. ი. ლენინმა და მ. ი. კალინინმა ხელი მოაწერეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოს ისტორიულ დეკრეტს ავტონომიური ყირგიზეთის (ყაზახეთის) სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ყაზახმა ხალხმა პირველად შეიძინა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც საფუძვლად ედო ფართო სოციალისტური დემოკრატია.

ყაზახეთის ქარხნების კონვეიერებიდან ჩამოდის ტრაქტორები და ექსკავატორები, სადიდავი ჩარხები, სამთო-საშახტო მოწყობილობა, წნეხავტომატები, ეროზიასაწინააღმდეგო ტექნიკა, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები, რენტგენის აპარატურა და საზომი ხელსაწყოები, სახალხო მოხმარების საქონელი. ნახევარ დღეზე ნაკლებ დროში რესპუბლიკა აწარმოებს იმდენ სამრეწველო პროდუქციას, რამდენსაც უშვებდა მთელ 1920 წელს, ხოლო ერთ წელიწადში — ხუთჯერ მეტს, ვიდრე ყველა ომამდელ ხუთწლედში ერთად.

პარტიის აგრარული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად რესპუბლიკა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მარცვლეულისა და მეცხოველეობის ბაზა გახდა. მარცვლეულის მთლიანმა მოსავალმა ყამირის ათვისების დაწყებიდან 550 მილიონ ტონას გადააჭარბა. განვლილ ხუთწლეულში, წინა ხუთწლეულთან შედარებით, მისი საშუალო-წლიური წარმოება გაიზარდა 27, დამზადება — 33 პროცენტით, ხოლო სახელმწიფოსათვის პურის ყოველწლიურმა ჩაბარებამ თითქმის მილიარდ ფუთს მიაღწია.

დიდი მუშაობა განხორციელდა მიწების მელიორაციისათვის, აშენდა თანამედროვე ჰიდროტექნიკური ნაგებობანი და სარწყავი სისტემები, შეიქმნა მიწათმოქმედების ახალი დარგი — მებრინჯეობა. ბრინჯის საშუალო-წლიური წარმოება გაიზარდა რვაჯერ და მეტად და შარშან 600 ათას ტონას გადააჭარბა. საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები სარწყავ მიწებზე იღებენ აგრეთვე დიდძალ შაქრის ჭარხალს, ბამბას, კარტოფილს, ბოსტნეულს, ხილსა და ყურძენს.

ამ ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდება ახლა მოქმედი ისეთი უნიკალური ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები, როგორიც არის ყარაგანდის, კუსტანაის, პავლოდარ-ეკიბასტუზის, ალმა-ათის, ყარათაუ-ჯამბულის, მანგიშლაყის, აღმოსავლეთ ყაზახეთისა და სხვები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო ძალების ყველაზე რაციონალურ განლაგებას. სამრეწველო წარმოების მოცულობა 25 პროცენტით გაიზრდება, ამასთან პროდუქციის მატების თითქმის 90 პროცენტს მივიღებთ არსებული სიმძლავრეების ხარჯზე. მთავარი ყურადღება ეთმობა საერთო საკავშირო მნიშვნელობის საბაზო დარგების, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობისა და ენერგეტიკის უპირატეს განვითარებას.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პავლოდარ-ეკიბასტუზის სამრეწველო-ენერგეტიკულ კომპლექსს. ახლა ეკიბასტუზში ღია წესით ვიღებთ 70 მილიონ ტონაზე მეტ ქვანახშირს წელიწადში. ხუთწლედის დამლევისათვის სათბობის მოპოვების მოცულობა აუზში 84 მილიონს, პერსპექტივაში კი 170 მილიონ ტონას მიაღწევს. იაფი ეკიბასტუზის ქვანახშირის ბაზაზე შენდება მრავალი თბოელექტროსადგური, რომელთა სიმძლავრე 20 მილიონი კილოვატი იქნება. პირველი ოთხი ენერგობლოკი უკვე იძლევა დენს. სსრ კავშირის ერთიან ენერგო სისტემაში ელექტროენერგიის გადაცემისათვის შენდება ეკიბასტუზ-ცენტრის ზემაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელსაც მსოფლიო პრაქტიკაში ანალოგი არა აქვს.

ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ყარაგანდის ქვანახშირის აუზს, რომლის მოპოვების მოცულობა თითქმის 50 მილიონი ტონა, ძირითადად, ძვირფასი, კოქსვადი ქვანახშირია, მანგიშლაყის, გურიევის, ემბის, აქტიუბინსკის ნავთობსარეწებსა და გაზის საბადოებს, მძლავრ ნავთობგადამმუშავებელ საწარმოებსა და მოქმედ ელექტროსადგურებს.

მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება თუჯის, ფოლადის, შავი და ფერადი ლითონების ნაგლინის წარმოება. ყარაგანდის მეტალურგიულ კომბინატში თეთრი თუნუქის მშენებარე საამქროს ამოქმედების შემდეგ მისი წარმოება ქვეყანაში თითქმის გაორკეცდება. გაიზრდება რკინის, ქრომისა და მანგანუმის მადნების მოპოვება. გადიდდება ყვითელი ფოსფორის, მინერალური სასუქების, პლასტიკური მასების, მანქანათმშენებლობის, ნავთობქიმიისა და ნავთობგადამუშავების პროდუქციის, ცემენტის გამოშვება. სახალხო მოხმარების საქონლის ზრდა 23 პროცენტს შეადგენს.

ყაზახეთმა დიდი წვლილი უნდა შეიტანოს სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. ამ დროს კვლავ იქნება საკვანძო ამოცანა მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდება. მიმდინარე ხუთწლეულში მისი საშუალოწლიური მთლიანი მოსავალი 28-29 მილიონ ტონამდე, ხოლო 1990 წლისათვის — 30,5-31,5 მილიონ ტონამდე უნდა გაიზარდოს, ბევრად გადიდდება ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

სოფლის მშრომელები პრაქტიკულად მუშაობენ ყოველი ჰექტარი მიწის, განსაკუთრებით სარწყავი სახნავის, მანქანების, სასუქების, საკვების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ყველა კულტურის მოსავლიანობის, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდისათვის, მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა მშრომელთა ცხოვრების მთელ წყობაში, რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს ქალაქებში, რომელთა დიდი უმრავლესობა საბჭოთა პერიოდში აშენდა. ისინი გამოირჩევიან საინტერესო არქიტექტურული გადაწყვეტით, თავისებური ინდივიდუალური სახით. აშენდა ათასობით თანამედროვე კეთილმოწყობილი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაბა. ყველა მათგანი ელექტრიფიცირებულია, მიმდინარე ხუთწლედში კი დამთავრდება მათი გაზიფიკაცია. წყდება სოფლის დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების პრობლემა — გაყვანილია 25 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის წყალსადენები, აქედან 10 ათასი კილომეტრი — ჯგუფური. შეიქმნა საავტომობილო და რკინიგზების ფართო ქსელი, კარგად განვითარდა საჰაერო ტრანსპორტი.

განვითარებული სოციალიზმის გარდამქმნელი ძალა გამოიხატა მეცნიერების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ხალხის მთელი სულიერი ცხოვრების უმაგალითო აღმავლობით. მხარეში, სადაც დიდ ოქტომბრამდე მოსახლეობის მხოლოდ ორი პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე, ახლა მოქმედებს მეცნიერებათა აკადემია, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის განყოფილება, ათობით სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, გადავედით საყოველთაო-საშუალო განათლებაზე. მუშაობს თითქმის 9 ათასი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, 55 უმაღლესი და 238 საშუალო სპეციალური სასწავლებელი. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 1 მილიონ 360 ათასი სპეციალისტი, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო განათლება აქვთ. 10 ათას კაცზე ჩვენში მოდის 33 ექიმი, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე დასავლეთის ბევრ განვითარებულ ქვეყანაში.

ქვეყნის საწარმოო ძალების სწრაფი განვითარების უმნიშვნელოვანესი სოციალური შედეგი გახდა ახალი მშრომელი ადამიანი — მაღალი იდეალების, ფართო თვალსაწიერის, კოლექტივიზმის, ამხანაგობის, საზოგადოებრივი საქმისადმი ერთგულების კეთილშობილური გრძნობების მქონე. სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ და მუშაობენ დიად საბჭოთა კავშირში მცხოვრები პრაქტიკულად ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

ყაზახეთის უდიდესი მიღწევები განუყოფელია საბჭოეთის წარმატებებისაგან. ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის — რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობის, მუშათა კლასის, კოლმეურნეების, ინტელიგენციის გმირული შრომის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის შედეგი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, სსრ კავშირის მოძმე ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ურთიერთდახმარების მკაფიო გამოვლინებაა.

უპასუხებენ რა პარტიის მოწოდებას, რომ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს შეხვდნენ ახალი შრომითი მიღწევებით, ყაზახეთის მშრომელები ბეჯითად იღვწიან სკკპ XXVI ყრილობისა და ყაზახეთის კომპარტიის XV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის. ინტერნაციონალური მოვალეობის, მოძმე ხალხთა წმინდათაწმინდა მეგობრობის ერთგულ ყაზახებს თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ, კვლავაც ყოველნაირად განამტკიცონ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება. (საქდესი).

ბაბრაქ ქარმალი თბილისში

7 ოქტომბერს თბილისში ჩამოხდა უნგრეთიდან სამშობლოს მიმავალი ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ბაბრაქ ქარმალი.

აეროპორტში თვითმფრინავის კიბესთან ბაბრაქ ქარმალს გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი.

დელეგაციას დახვდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ჰაბიბ მანგალი.

ბ. ქარმალსა და დელეგაციის წევრებს აეროდრომზე გულთბილად მიესალმნენ საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, ავღანელი სტუდენტები, რომლებიც რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. ბავშვებმა ავღანელ სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

აეროდრომიდან ბ. ქარმალი, ე. ა. შევარდნაძე, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები და ავღანეთის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები საპატიო ესკორტის თანხლებით საპატიო სტუმრისათვის გამოყოფილი რეზიდენციისაკენ გაემართნენ.

თბილისელები გულთბილად მიესალმებოდნენ საქართველოს და ავღანეთის ხელმძღვანელებს.

* * *

8 ოქტომბერს თბილისიდან სამშობლოს გაემგზავრა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ბაბრაქ ქარმალი.

თბილისის აეროპორტში ბაბრაქ ქარმალი გულთბილად გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

დელეგაცია გააცილეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჰაბიბ მანგალი.

რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ავღანელი სტუდენტები გულთბილად მიესალმებოდნენ ბაბრაქ ქარმალსა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრებს. (საქინფორმი).

სურათზე: თბილისის აეროპორტში შეხვედრის დროს.
ო. თურქიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

7 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის დელეგაცია ამ კომისიის თავმჯდომარის მორის ფორის მეთაურობით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ჩვენს ქვეყანაში.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე გულითადად მიესალმა დელეგაციის წევრებს საქართველოს მიწა-წყალზე, უსურვა მათ წარმატებული მუშაობა ჩვენს ქვეყანაში თავიანთი მისიის განსახორციელებლად.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმრებს გააცნო საქართველოს ისტორია, მისი ძირითადი ნიშანსვეტები, ამასთან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქართველი ხალხის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას — რუსეთთან შეერთებას, რამაც იგი ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა და მშვიდობა მოუტანა. ეს იყო ზუსტად 200 წლის წინათ. მას შემდეგ, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს მიწა-წყალზე მტრის ჭაჭანება არ ყოფილა.

მაგრამ ახალი ცხოვრების მშენებლობა ქართველი ხალხისათვის, განაგრძო ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ისევე როგორც რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა სხვა ხალხისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირეულად იცვალა სახე საქართველომ, მისმა ეკონომიკამ, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებამ. საქართველო ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად, რომლის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში. უმაგალითო დონეს მიაღწია მშრომელთა კეთილდღეობამ.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ დიდ მზრუნველობას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ხალხის მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფისათვის. საბჭოთა ადამიანებმა, თქვა მან, რომლებმაც განიცადეს ომის სიმძიმე და საშინელება, იციან მშვიდობის ფასი და ამიტომაც არის, რომ მთლიანად და სავსებით იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება და დამკვიდრება.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობა დამკვიდრდა, რასაც დიდად შეუწყო ხელი მათი ხელმძღვანელების შეხვედრებმა, პარლამენტართა გაცვლამ.

დასასრულ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების შემდგომ გაფართოებას, მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მ. ფორმა მადლობა მოახსენა ე. ა. შევარდნაძეს გულთბილი მიღებისათვის. თქვენს ქვეყანაში ყოფნისას, თქვა მან, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ადამიანები გულწრფელად ესწრაფვიან მშვიდობას.

საუბრის დროს გამოითქვა ორმხრივი მისწრაფება გააფართოონ პარლამენტთაშორისი კონტაქტები, რომლებიც ხელს უწყობს სსრ კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას.

დასასრულს მ. ფორმა ე. ა. შევარდნაძეს გადასცა საფრანგეთის ეროვნული კრების სამახსოვრო მედალი.

საუბარმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრას დაესწრნენ:

საფრანგეთის მხრივ — ეროვნული კრების დეპუტატი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის თავმჯდომარე, ეროვნული კრების საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე კლოდ ესტიე, დეპუტატები ლუი ოდრიუ, პიერ რეინალი, ლიდი დიუპიუი, გი ვადეპიე, ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის მდივანი ჟან-პიერ მეილეკი და საფრანგეთის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი ფილიპ კარე;

საბჭოთა კავშირის მხრივ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ქ. ს. ვირსალაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ. ვ. ბედინეიშვილი, ამ კომისიის წევრი ო. შ. ქაჯაია, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ნ. ციციშვილი. (საქინფორმი).

საფრანგეთის ეროვნული კრების დელეგაცია საქართველოში

6 ოქტომბერს მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას კომისიის თავმჯდომარე მორის ფორი. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან თვალსაჩინო ფრანგი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი — ეროვნული კრების დეპუტატები: კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის თავმჯდომარე, ეროვნული კრების საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე კლოდ ესტიე, კომისიის წევრები ლუი ოდრიუ, პიერ რეინალი, ლიდი დიუპიუი, გი ვადეპიე, საგარეო საქმეთა კომისიის მდივანი ჟან-პიერ მეილეკი. მათთან ერთად ჩამოვიდა საფრანგეთის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი ფილიპ კარე.

დელეგაციას ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობისას თან ახლავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ქ. ს. ვირსალაძე.

საფრანგეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებით მორთულ თბილისის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ვ. გურგენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ. ვ. ბედინეიშვილი, ამ კომისიის წევრი ო. შ. ქაჯაია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ი. ლაღიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ა. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. ნ. ნეფედოვი, ნ. გ. ჩერქეზიშვილი, ი. ნ. ციციშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი ი. ო. ანდრიაძე.

* * *

ამავე დღეს ფრანგი სტუმრები თელავში ჩავიდნენ. გზად მათ დაათვალიერეს გურჯაანის დიდების მემორიალი, ეწვივნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმს, იყვნენ თელავის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში. საღამოს სტუმრები დაესწრნენ თელავის დრამატულ თეატრში გამართულ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს.

* * *

8 ოქტომბერს ფრანგი პარლამენტარები განაგრძობდნენ რესპუბლიკის ცხოვრების გაცნობას. ისინი იყვნენ რუსთავში, სადაც გაეცნენ მეტალურგიული ქარხნის მუშაობას. სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში.

ამავე დღეს საღამოს საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისია თბილისიდან ბაქოს გაემგზავრა. (საქინფორმი).

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ძმურად მიესალმნენ და გულითადად მიულოცეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ერიხ ჰონეკერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვილი შტოფს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 33 წლისთავი.

ა. ა. გრომიკო მოსკოვს დაბრუნდა

7 ოქტომბერს ნიუ-იორკიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც ხელმძღვანელობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXVII სესიაზე წარგზავნილ სსრ კავშირის დელეგაციას.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

მთები დგანან და გელიან!

ძმანო ხევსურნო!

ჩემი დიდი მამულის კუთხევ, ძირო, შენახულო ენავ, ფარო, ხმალო, რჯულო, ვაჟკაცობავ, მხნეობავ, სარჩოვ და საბადებელო, ჩემო სისხლო და ხორცო. ვიცი, დღეს თქვენთან დიდი დღესასწაულია—შატილობა, ისეთი, როგორიც მთათუშეთში იყო შარშან ამ დროს. გზა მივიდა თუშეთში, იმ გზით თუში დაბრუნდა სახლში, მერე ერი ენვია თუშს და ერისკაცმა დალოცა თუში.

ახლა თქვენთანაც იგივე ხდება, მაგრამ გზა რა ბედენაა, თუ ამ გზაზე კაცმა არ იარა, კვლავ ქვა და ღორღით აივსება იგი გზა, კვლავ ზვავი ჩამოწვება და ბალახი ამოვა იმ გზაზე. ამიტომ ითვლება ყველაზე შემზარავ წყევლად საქართველოში — კერია ჩაგიქრა და კიბეზე ბალახი ამოგივიდაო.

ღმერთმა შეუნდოს ყველას, ვინაც და რამაც თქვენ თავის დროზე მთიდან ბარში ჩამოგყარათ, ღმერთმა აკურთხოს ყველა, ვინც ახლა თქვენ კვლავ მთისაკენ გიხმობთ და წინ მიგიძღვებათ.

გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველა — მთები დგანან და ელიანო... თქვენს დაბრუნებას ელიან მთები, ჩემო ძვირფასებო!

მთა უარწივოდ სად გაგონილა?! არწივმა მართვე საიდან გადმოაფრინოს, თუ მთაში ბუდე მოეშალა?! ციხე რის ციხეა, თუ შიგ მეციხოვნე არ დგას?! არაგვი და არღუნი რის მაქნისია, თუ შიგ ხევსურები ბედაურებს არ დაადგაფუნებენ?! სათიბი რის სათიბია, თუ შიგ ცელი არ მღერის, ცხვარ-ძროხა არ დადის და ნახირი არ ბღავის? შატილი რის შატილია, თუ შიგ ხევსური არ ცხოვრობს?!

თუ წინათ ბარი გეძახდათ ქუდზე კაცს, ახლა ქუდზე კაცს მთები გეძახიან, მთები, რომლებიც რა ხანია დგანან და გელიან!

შეიძლება ვინმემ იფიქროს, ეს დუმბაძე ვინ არის, საქართველოს რომ ჩემულობს, თვითონ ბარში დამჯდარა და ჩვენ მთაში გვერეკებაო. ეგრე არ არის, ძმებო!

ეს საქართველო კი თქვენიც არის და ჩემიც და ვერც ვერავინ შეგვეცილება, მაგრამ შატილიონი თქვენი სახლია და სახლში თუ მასპინძელი არ არის, ლობეზე მომდგარს ძაღლმა თუ არ შემომყეფა და მასპინძელმა თუ არ შემომძახა — მობრძანდი, სტუმარი ღვთისაიო, ვისთან მივიდე?! თქვენ გეკითხებით, ხევსურებო!...

ოღონდ თქვენ მანდ დაფუძნდით კვლავ, დამიძახეთ და, მომაკვდავიც რომ ვიყო, ჩოქვით გეახლებით.

არ დაივიწყოთ ლადო ასათიანის ლოცვა:

კავკასიის მთებში გაგაჩინა ზენამ,

ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ...

ეგ თქვენზეა ნათქვამი და ჩვენს დიდებულ ენაზე. ჰოდა წუ მოუშლით საქართველოს ენის ძირს, კერას და ბუდეს, ჩემო ლამაზო, დიდებულო და ქედმაღალო ძმებო.

გილოცავთ დღესასწაულს, გკოცნით და გეხვევით.

თქვენი ერთგული

ნოდარ დუმბაძე.

დ. კლდიაშვილის საიუბილეოდ

გაიმართა ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, გამოჩენილი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის დაბადების 120 წლის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის სხდომა.

— დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, — განაცხადა სხდომის გახსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. ჯანბერიძემ, განეკუთვნება ქართველი ხალხის იმ სულიერ ღირებულებებს, რომლებიც, რაც დრო გადის, მით უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი ხდება. დიდი ჰუმანისტი დავით კლდიაშვილი კიცხავდა ყოველივე დრომოჭმულს. გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც მწერლის იუბილესადმი იჩენს ფართო საზოგადოებრიობა.

სხდომაზე ინფორმაციები გააკეთეს პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბურჯანაძემ, საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. მაღრაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორმა გ. ფანჯიკიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯ. ჩარკვიანმა, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა გ. ნატროშვილმა, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დეკანმა გ. დოლიძემ.

გადაწყვეტილია საიუბილეო ზეიმი მოეწყოს 16–17 ოქტომბერს მწერლის სამშობლოში — თერჯოლის რაიონში. მიტინგი გაიმართება სოფელ სიმონეთში, მწერლის სახლ-მუზეუმში.

რაიონულ ცენტრში გაიხსნება მწერლის მემორიალი. იუბილეს დაუკავშირდება მოსავლის დღესასწაული. რაიონის სურათების გალერეაში მოეწყობა დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. დღესასწაულის პროგრამაშია იმ კინოსურათების ჩვენება, რომლებიც შექმნილია მწერლის ნაწარმოებების მოტივების მიხედვით.

(საქინფორმი).



პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ყველას დირსების საქმე

ამ ყველას ახსოვს მექანიზატორთა პარტიული ჯგუფის ის კრება, რომელზედაც აბაშელთა გამოცდილებაზე ბჭობდნენ. ერთსულოვნებით არ გამოირჩეოდა ის შეკრება. ზოგი თუ იზიარებდა სიახლეს და სურდა აბაშელთაგვარად ემუშავა, ზოგიც ეჭვობდა. ყოველთვის თავშეკავებულმა და მოზომილი სიტყვა-პასუხის კაცმა შოთა ქოქოევმა გადაჭრით თქვა, — შეგვიძლია და კიდევაც უნდა ვიმუშაოთ აბაშელთა მეთოდით.

— აბა, სად ნახულა, კაცო, უთოხოდ სიმინდის მოყვანა, — თავისას არ იშლიდნენ ზოგნი:

— სად და აბაშაში, ჩვენთანაც მალე ნახავთ, — თავისაზე იდგა შოთა.

— მაშ, შენ ფიქრობ უთუოდ მოიყვანო მოსავალი, თანაც ასეთ დიდ ფართობზე? — კიდევ ერთხელ ჩაეკითხა მოწინავე მექანიზატორს ზნაურის რაიონის ველების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მ. ფუხაევი.

— ვფიქრობ და დარწმუნებულიც ვარ, თქვენ ოღონდ ხელი შემიწყვეთ, სასუქები არ მომაკლოთ.

ვიღაცამ ჩაილაპარაკა, ჩვენთან წინწილებს შემოდგომაზე ითვლიანო.

და დაითვალეს. ჰექტარზე საშუალოდ 36 ცენტნერი სიმინდი დაითვალეს. ალაპარაკდა მაშინ სოფელი. ყველაზე უკიდურესი სკეპტიკოსებიც კი გაოცდნენ. ეს შარშანწინ იყო. შარშანაც ინდუსტრიული მეთოდით დაამუშავა 50 ჰექტარი სიმინდი და საშუალოდ ჰექტარზე 52 ცენტნერი მოიყვანა — ეს საგეგმოზე ორჯერ მეტია. ჯილდოდ 10 ტონა სიმინდი და ურიგოდ მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა" ერგო. შოთას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. მასთან ერთად მთელი სოფელი ზეიმობდა გამარჯვებას.

ყოველივე ეს წელს საბრიგადო პარტიული ორგანიზაციის კრებაზე განიხილეს. ის მუშაობაც შეაჯამეს, ჯგუფმა რომ გასწია მოწინავე გამოცდილების დასანერგავად. წელს უკვე ინდუსტრიული მეთოდით ბევრმა მოუარა ყანებს. მიმდევართა შორის პირველნი კომუნისტები იყვნენ. ესენი არიან ზ. გუჩმაზოვი, ე. ქოქოევი, ჯ. გუჩმაზოვი, ამჯერად უკვე 120 ჰექტარი დამუშავდა ინდუსტრიული მეთოდით. სიმინდის გარდა ლობიოც მოიყვანეს ისე, რომ ხელის შრომა არ გამოუყენებიათ. მოსავალმა ჰექტარზე საშუალოდ 9 ცენტნერს გადააჭარბა, რაც წინა წლის მოსავალზე ორჯერ მეტია.

შოთას მიმდევრად ითვლებიან ზნაურის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი შოთა ბეგიაშვილი და მისი ვაჟიშვილები — ოთარი და მერაბი. მათ გადაწყვიტეს 200 ჰექტარი ხორბალი ინდუსტრიული მეთოდით მოიყვანონ.

კრებაზე ერთხელ კიდევ გაიხსენეს ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვები, რომელიც მან ავტონომიური ოლქის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე უთხრა ოლქის მშრომელებს: „ამოცანა ის არის, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა მთლიანად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება საკუთარი წარმოების ხორცსა და რძეზე, ამასთან გაზარდონ ამ პროდუქტების მიწოდება საერთო რესპუბლიკურ ფონდში. ეს უნდა გახდეს ოლქის სასურსათო პროგრამის თავიდათავი. დაადგეს ამ კურსს და განუხრელად განახორციელოს იგი — ეს საოლქო პარტიული ორგანიზაციის პრესტიჟის საქმე, ავტორიტეტის საკითხია. ოლქის ყველა მშრომელის ღირსების საქმეა".

კრებაზე გაიხსენეს: ადრე, წლების წინათ ახოებს, ტყისპირებს რომ ხნავდნენ, თესავდნენ, მოჰყავდათ ხორბლის, ქერის მოსავალი. ახლა ეს მიწები მიტოვებულია, ისევე რომ ავითვისოთ ეს ნათესი მიწები ურიგო არ იქნება. რამდენი მოსავალი მოვა აქ. თქმა და გაკეთება ერთი იყო. კრების მეორე დღესვე დაიწყო ამ მიწების ათვისება. მარტო ამ შემოდგომას 1000 ჰექტარ მიწას აითვისებენ ზნაურელები.

აი ეს არის საქმიანი პასუხი მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში რეალიზაციაში, ეს არის ღირსების საქმე.

გ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

გულწრფელად, პირუთვნელად

ლანჩხუთის რაიონის სოფელ გვიმბალაურის კოლმეურნეობის № 1 აგროუბნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს კრებებზე მიღებული დადგენილებების შესრულებას. კრების მონაწილეებმა თვითკრიტიკით აღნიშნეს, რომ ყოველთვის როდი სრულდება აქტუალურ საკითხზე მიღებული დადგენილება, ხოლო პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად ვერ აკონტროლებს ამ დადგენილებებს. კომუნისტმა მეჩაიემ შ. ფაცურიამ თავის გამოსვლაში თქვა, რომ წელს აგროუბნის მშრომელებმა შარშანდელზე მეტი ჩაი მოკრიფეს, მაგრამ მათ მეტის შესაძლებლობა ჰქონდათ. გარდა ამისა, ხარისხის პრობლემას ჯერ კიდევ ვერ მოუარეთ. როდესაც თამარ ყუფუნიას გამოსვლას გავეცანით, მოვიწვიეთ პარტიული კრება, განვიხილეთ ეს საკითხი, დადგენილებაც მივიღეთ, მაგრამ მას ბევრგან კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

საერთოდ ჩაის ხარისხზე პირუთვნელი სჯა-ბაასი გაიმართა კრებაზე. გამომსვლელებმა — პარტბიუროს მდივანმა დარჩიამ და სხვებმა პრინციპულად დააყენეს ჩაის ძველი დიდების აღდგენის საკითხი. გამოთქვეს რწმენა, რომ საანგარიშო კრებაზე მიღებული დადგენილება მაინც გახდება ამ საქმის სასიკეთო შემობრუნების საწინდარი.

როგორც კრებაზე გამოჩნდა, სასურსათო პროგრამაც განუხრელად საანგარიშო პერიოდში. ჯერჯერობით კი საქმე არ ჩანს. ბევრ კოლმეურნეს საერთოდ არ ჰყავს საქონელი. სულ სოფლის 500 კომლიდან ფური მხოლოდ 250 ოჯახს ჰყავს.

— ამ საქმეში კოლმეურნეობის ხელმძღვანელებიც ვცოდავთ, — თქვა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. იმნაიშვილმა — მაგრამ ამ ხარვეზის გამოსწორება უახლოეს მომავალში გვაქვს დაგეგმილი. წლის ბოლომდე თითქმის ყველა ოჯახს კოოპერირების წესით შევუძენთ ფურს. ამასთან კომბინირებული და სხვა საკვებით დავეხმარებით.

კრებაზე ითქვა, რომ სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის მთავარია მიწის სავარგულების გამოყენება. მისი ჩაყენება ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების უხვი მოსავლის სამსახურში. ამ მიმართულებით ბევრი კარგი საქმე გააკეთეს კოლხეთმშენის ფოთის სამშენებლო ტრესტის მშენებლებმა. გაწმინდეს ტყებუჩქნარი, გაიყვანეს წყალდასაშრობი ვეებერთელა არხები, მაგრამ რად გინდა! არხები კვლავ აივსო მიწით და წყალმცენარეებით დაიფარა. ნაჭაობარი კვლავ ჭაობად იქცა. ეს იმიტომ მოხდა, რომ სამიწათმოქმედო ორგანოებმა არ მოუარეს დაშრობილ მიწებს, არ გაწმინდეს არხები და ახლა კოლმეურნეობის განკარგულებაში არსებული რამდენიმე ჰექტარი მიწა კვლავ ხელმეორედ დაჭაობდა, გამოუყენებელია.

კრებაზე გადაწყდა, რომ მიღებული დადგენილების ყველა პუნქტს დაუწესდეს მკაცრი კონტროლი. წერტილი უნდა დაესვას დადგენილებების ქაღალდზე დარჩენის მავნე პრაქტიკას, რადგან მხოლოდ სიტყვა და საქმის ერთგულება შეიძლება გახდეს წარმატების საწინდარი.

გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

ახალგაზრდა მეცნიერთა წვლილი

ცნობილია, სამსხმელო წარმოების განვითარების დონე განსაზღვრავს ყველა ეკონომიკური რეგიონის მანქანათმშენებლობისა და მაშასადამე, მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარების დონეს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთი მოწინავეა. იგი თუჯის, ფოლადის და ფერადი ლითონების სხმულების მთავარი მწარმოებელია ამიერკავკასიაში. ჩვენთან ყოველწლიურად ასიათასობით ტონა სხმული მზადდება ავტომობილების, ლითონსაჭრელი ჩარხების, მეტალურგიული და სამთო მოწყობილობის, საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების დეტალებისათვის.

სამსხმელო წარმოების ძირითადი და ამავე დროს განმასხვავებელი უპირატესობა ის არის, რომ მისი პროდუქცია თავისი გეომეტრიული ფორმით ძალიან მიახლოებულია საბოლოო დეტალთან და ამიტომ მინიმალურ მექანიკურ დამუშავებას მოითხოვს. ამასთან მას ნაკლიც აქვს, რომელიც ასევე განასხვავებს წარმოების სხვა დარგებისაგან. ეს გახლავთ ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის სირთულე. მისი დაძლევა ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნით შეიძლება.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენს ქარხანაში. აქ საბჭოთა კავშირში პირველად დაინერგა თუჯის უწყვეტი ჩამოსხმის მეთოდი, რომელიც ფართოდ გავრცელდა და ამჟამად გამოიყენება ლიეპაიის, კაუნასის, ჩერეპოვეცის და სხვა ქარხნებში.

ამ მეთოდით ჩამოსხმულია თბილისის „დინამოს" სტადიონისა და ახალი, ვახუშტის სახელობის ხიდის მოაჯირის სახელურები,

გარკვეული რაოდენობრივი მაჩვენებლების მიღწევის შემდეგ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დღის წესრიგში დადგა ხარისხისა და ნაწარმის ნომენკლატურის გაზრდა. თუ აქამდე ამ საქმისათვის ინჟინრული ან, ასე ვთქვათ, გამომგონებლური უნარი კმაროდა, ახლა უკვე საჭირო გახდა მეცნიერული პროფესიონალიზმის მოშველიება.

ეს აზრი გამოითქვა 1978 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის სხდომაზე, რომელიც თუჯის უწყვეტი ჩამოსხმის შემდგომ განვითარებას მიეძღვნა.

აღნიშნული კომიტეტის დადგენილებით გამოიყო სათანადო სახსრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში შეიქმნა მკვლევართა სპეციალური ჯგუფი, რომელმაც განვლილი ოთხი წლის მანძილზე მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა. კერძოდ, თუჯის უწყვეტი ჩამოსხმის პროცესის თბოტექნიკური პარამეტრების შესწავლისას აღმოაჩინა სითბოს დანაკარგების 80-90 პროცენტით შემცირების შესაძლებლობა.

შემდეგ. ცნობილია, რომ სამსხმელო წარმოებაში ფართოდ არის გავრცელებული გამდნარ ლითონში მცირე რაოდენობით სხვადასხვა მასალის შეყვანა, როგორიც არის სილიციუმი, ქრომი, მანგანუმი და სხვა. ამით მნიშვნელოვნად იზრდება გამყარების შემდეგ ლითონის თვისებები. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ დანამატების მოქმედება 15-20 წუთის შემდეგ სწრაფად მცირდება და მათი ეფექტიანობა ნულამდე [illegible]. ამ გარემოებას მკვლევარებმა ყურადღება [illegible] შეიმუშავეს მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს საგროველაში დანამატის შეტანას. უშუალოდ კრისტალიზაციის წინ.

გარდა ამისა მრავალი აპარატი და ხელსაწყო შეიქმნა ტექნოლოგიური პროცესის შესწავლისა და მიღებული პროდუქტის ხარისხის კონტროლის საჭიროებისათვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სხმულის არამექანიკური, ელექტრომაგნიტური გამოქაჩვის იდეა. თეორიული გაანგარიშებანი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ მისი რეალური განხორციელების იმედი ვიქონიოთ. ამ მიმართულებით უკვე დამუშავებულია პროექტი.

თითქმის 30 წელიწადია მრეწველობის ყველაზე მძიმე დარგებს მეტალურგიასა და სამსხმელო წარმოებას ვემსახურები. ამიტომ ამ სამუშაოს მნიშვნელობის გარდა, ვაფასებ იმ გარემოებასაც, რომ მას ახალგაზრდები ასრულებენ.

აღნიშნული სამუშაო შეიძლება ჩაითვალოს ინჟინრული ამოცანის მეცნიერული გადაწყვეტის კარგ მაგალითად, ხოლო მისი შემსრულებლები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ამირან ბაკურაძე, თამაზ ბაციკაძე და მალხაზ გვაზავა, რომლებიც წარდგენილნი არიან საქართველოს კომკავშირის პრემიაზე, ღირსნი არიან ამ მაღალი ჯილდოსი.

მ. შავლაყაძე,
რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

განვახორციელოთ სასურსათო პროგრამა!

როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო საყოველთაო სახალხო გარჯა სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად, წალკის რაიონის 22 სასოფლო საბჭო, 18 საბჭოთა მეურნეობა და 43 სოფელი მომზადებული შეხვდა ამ კამპანიას.

— მზადება კი მაშინ დავიწყეთ, როდესაც ამ სამიოდე წლის წინათ ჩვენს რაიონს ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე, — გვითხრა საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ო. ხრისტიანოვმა.

საქმე ის არის, რომ რესპუბლიკის თავკაცმა, ჩაიხედა რა რაიონის ეკონომიკაში და განსაზღვრა წალკელთა შესაძლებლობები, მშრომელებს პროგრამად დაუსახა, რომ შესაბამისად 1,5-ჯერ და 1,7-ჯერ გაეზარდათ მეცხოველეობის პროდუქტებისა და კარტოფილის წარმოება.

წალკელებს თავი არ შეურცხვენიათ. თამამად გაჰყვნენ ამ მოწოდებას და, თუ სამი წლის წინათ 9 ათას ტონა რძეს იღებდნენ ერთ სამეურნეო წელიწადში, ახლა 12 ათას ტონას იღებენ, თუ მაშინ 17,7 ათასი ტონა კარტოფილი მოჰყავდათ, ახლა 25 ათას ტონაზე მეტი მოჰყავთ — თითქმის 40 პროცენტით გაზარდეს მისი წარმოება.

წალკელთა შემოდგომა

ახლა წალკელი მშრომელებისათვის ყველაზე ცხარე დღეები დადგა. ისინი კარტოფილის მოსავალს იღებენ, კარგადაც ირჯებიან. პრაქტიკულად ახორციელებენ შრომის დევიზად დასახულ ამოცანას, რომ 1,7-ჯერ გაზარდონ კარტოფილის წარმოება. წლეულს მათ გეგმით 27 ათასი ტონა კარტოფილი უნდა მიიღონ. დღეისათვის 2 ათას ტონაზე მეტი მიჰყიდეს სახელმწიფოს. ყოველდღიურად წალკური კარტოფილით დატვირთული ავტომანქანების კოლონა თბილისში ჩამოდის. დედაქალაქის მშრომელები მაღაზიაში უკვე ყიდულობენ წალკელების მოწეულ კარტოფილს. უფრო დიდ მოსავალს კი ზამთრისთვის იმარაგებს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების ლილოს ხილბოსტნეულის ბაზა.

იყო იდეა, რომ წალკის რაიონს რძე აღარ დაემზადებინა და სულ ხორცის წარმოებაზე გადასულიყო, მაგრამ შემდეგ მშრომელებმა გადაწყვიტეს ხორცის წარმოება ორმაგად გაზარდონ, ისე, რომ რძის დამზადება არ შეამცირონ. ამისათვის საჭიროა პირუტყვის სულადობის ზრდა. თუ დღეს საზოგადოებრივ სექტორში 7 ათასი სული ფურია, ხუთწლედის ბოლოსათვის კი 9 ათას სულამდე უნდა გაიზარდოს. სპეციალისტები შრომობენ აგრეთვე პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაზე. ამ საქმეებს უთუოდ კეთილად დააგვირგვინებს კლდეეთის მეცხოველეობის კომპლექსი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ამუშავდა. აქ 3 ათასი სული საქონელი ეყოლებათ.

რაიონი საკუთარი ძალებითაც აშენებს ბოსლებს, საზბორეებს და ფარეხებს.

წალკის მარტო 4 მეურნეობაში ჰყავდათ ღორები. ახლა ყველა მეურნეობაში ჰყავთ და არის იმის რეალური საფუძველი, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის რაიონის საზოგადოებრივ სექტორში ორჯერ მეტი ღორი იყოლიონ.

კერძო სექტორშიც დიდი ყურადღება ექცევა საქონლის მომრავლებას. დღესდღეობით რაიონის 22 ათასი ოჯახიდან ძროხა 7 ათასს თუ ჰყავს. წალკის პირობებისათვის ეს ძალზე ცოტაა. თავს იმით იმართლებენ, წალკაში სუსტი საკვები ბაზააო. არადა, რაც აქ საძოვრები და სათიბებია, ბარე ორ რაიონს ეყოფა. მაშ რა ხდება?

ამ სათიბ-საძოვრებში არასოდეს არ შეუტანიათ სასუქები, არ მოუვლიათ მიწისათვის, არ გაუპოხიერებიათ, ამიტომ ბუნებრივია, რომ საკვები უჭირთ.

რაიონის ხელმძღვანელობა ფიქრობს გამოიყენოს ტორფის დიდძალი მარაგი. ორი წელიწადია რაც ამ ძვირფასი სასუქის დამუშავება დაიწყეს. წალკელებმა რომ მინერალურ სასუქებთან ერთად 100 ათასი ტონა ტორფი შეიტანონ სათიბ-საძოვრებში, ბუნებრივი საკვების საერთო მოცულობა ორჯერ გაიზრდება.

მომავალი 1983 წლის მარცვლეული კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობის ზრდისათვის წალკის რაიონში ახლა ითვისებენ ახალ მიწებს. ხრამის წყალსაცავის გარშემო დიდი ფართობები იტბორებოდა და პრაქტიკულად გამოუყენებელი რჩებოდა. მას შემდეგ რაც წყალსაცავის გარშემო მიწაყრილის ჯებირები გააკეთეს, ნიადაგი გაშრა. გამოჩნდა თითქმის 350 ჰექტარი მშვენიერი მიწა, აქედან 150 ჰექტარზე უკვე უთესიათ კარტოფილი და კარგ მოსავალსაც ელიან. წლევანდელი მოსავალი უკვე აანაზღაურებს მიწაყრილის ჯებირების გასაკეთებლად გაწეულ ხარჯებს, უფრო მეტიც, მეურნეობას მოგებაც დარჩება.

მთაში ყოველწლიურად ათას ჰექტარ სახნავ-სათესს ითვისებენ. შარშან ხომ რაიონს 17 ათასი ჰექტარი სავარგული ჰქონდა, წლეულს უკვე 18,2 ათას ჰექტარს იყენებენ.

ამასთანავე სპეციალისტები მუშაობენ საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობის მკვეთრ გაზრდაზე. სხვაგვარად ხომ შეუძლებელია იმ დიდი საქმეების კეთილად გადაწყვეტა, რომლებსაც წალკელი მხვნელ-მთესველების სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს. ისიც სათქმელია, რომ ამ პროგრამაში მშრომელებს ხშირად შეაქვთ კორექტივები, და ეს პროცესი, ალბათ, მომავალშიც განვითარდება, რადგან კორექტივები ისახება მაშინ, როდესაც ჩნდება უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების რეალური შესაძლებლობები.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საერთაშორისო ცხოვრება

ტელევიზიის ეკრანზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

8 ოქტომბერი

ვითარება ლიბანში

ბეირუთი. ათასობით პალესტინელი და ლიბანელი დააპატიმრეს ისრაელის ჯარებმა, რომლებიც ლიბანში შეიჭრნენ და დაიპყრეს ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი. ზოგიერთი მათგანი წაიყვანეს ისრაელში და დაამწყვდიეს პოლიტიკურ ტუსაღთა საპყრობილეებში. სულ ცოტა 9 ათასი კაცი დღესაც იტანჯება საკონცენტრაციო ბანაკებში, რომლებიც დამპყრობლებმა ლიბანის მიწა-წყალზე შექმნეს.

ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკი ააშენეს ისრაელებმა ლიბანის სამხრეთის დაბა ანსარში. ტერიტორიას, სადაც აუტანელ პირობებში ამყოფებენ ტუსაღებს, შემოვლებული აქვს რამდენიმე რიგად დაჭიმული მავთულხლართის მაღალი ღობე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აღმართულია მეტყვიამფრქვევეთა კოშკები.

ისრაელის პრესაში გამოქვეყნებული თვითმხილველთა, მათ შორის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტთა და ექიმთა გამოსვლები აქარწყლებენ თელ-ავივის ფლიდურ განცხადებებს ტუსაღთა მიმართ ვითომდა „ჰუმანური მოპყრობის შესახებ". სინამდვილეში პატიმართა დაკითხვას, როგორც წესი, თან სდევს მხეცური წამებაც და ცემა-ტყეპა, რაც ხშირად მათს სიკვდილს იწვევს.

● აგრესორი აშენებს საკონცენტრაციო ბანაკებს ● მიმართვა იუნესკოს გენერალური დირექტორისადმი

ისრაელი ჯალათები აცხადებენ, რომ მათ უკვე გაათავისუფლეს მთელი რიგი ტუსაღები, მიუხედავად ამისა, საკონცენტრაციო ბანაკებში ყოველდღიურად მოჰყავთ ძალადობისა და რეპრესიების ახალი მსხვერპლნი.

ლიბანის დედაქალაქში შეჭრილმა ისრაელმა ინტერვენტებმა გაძარცვეს ქალაქი, ხელში ჩაიგდეს და თან წაიღეს ყველაფერი, რაც კი რამ შეხვდათ.

ბეირუთში, ნათქვამია სრულიად არაბთა კულტურისა და მეცნიერების საკითხთა ორგანიზაციის განცხადებაში, ისრაელმა გაძარცვეს უნივერსიტეტი, სხვა სასწავლებლები და კულტურული დაწესებულებები, პალესტინელთა მეცნიერული კვლევის ცენტრი. დატაცებულია ძველთაძველი ხელნაწერები, წიგნები, გამოცემული დოკუმენტები, სხვა კულტურული ღირებულებანი, რომლებიც კერძო პირებს ეკუთვნოდათ.

ორგანიზაციამ იუნესკოს გენერალურ დირექტორს მიმართა მოწოდებით „უზრუნველყოს, რომ კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდეს ხელოვნების ყველა ნაწარმოები, რომლებიც ისრაელის არმიამ დაიტაცა ბეირუთის ოკუპაციის დროს".

დასავლეთ ბეირუთის ბევრ რაიონში უკანასკნელი ორი დღის მანძილზე ეწყობა მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება. ლიბანის უშიშროების ძალებთან და არმიასთან ერთად ამ ჩხრეკა-დაპატიმრებაში, როგორც თვითმხილველნი და ფრანგული პრესა აღნიშნავენ, მონაწილეობენ მრავალეროვნული ძალების საფრანგეთის კონტინენტის ქვეგანაყოფები. ჩხრეკენ ავტომობილებს, საცხოვრებელ სახლებს, დაწესებულებებს, მაღაზიებს. ბლოკირებულია მთელი საცხოვრებელი უბნები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასტუმროებსა და სახლებს, სადაც დაპყრობილი რაიონებიდან გამოქცეული ლტოლვილნი ცხოვრობენ. ჩხრეკის უბნებში არ მოქმედებენ სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები.

როგორც გაზეთი „ას-საფირი" იუწყება, დაპატიმრებულია 200-ზე მეტი კაცი. ამოღებულია გარკვეული რაოდენობის იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა.

შეიქმნა მთავრობა

ბეირუთი. აქ გამოაცხადეს, რომ ლიბანის პრემიერ-მინისტრმა შაფიქ ვაზანმა შექმნა ქვეყნის ახალი მთავრობა.

მინისტრთა ახალ კაბინეტში 10 წევრია. მთავრობის მეთაურმა შეინარჩუნა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი. ლიბანის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ელიე სალემი.

● ინდოეთი

რელიგიური მღელვარება

დელი. კვლავ მკვეთრად გამწვავდა მდგომარეობა ინდოეთის ქალაქ მირუტში (უტარ-პრადეშის შტატი), სადაც ბოლო თვის მანძილზე ძრძლდება რელიგიური მღელვარება ინდუსებსა და მაჰმადიანებს შორის. მირუტსა და მის გარეუბნებში რელიგიურ-თემობრივი შუღლის მსხვერპლი გახდა 29 კაცი, 70-ზე მეტი დაშავდა. დაპატიმრებულია 800-მდე შფოთისთავი. ქალაქში სასწრაფოდ გადაიყვანეს პოლიციის დამატებითი რაზმები და საარმიო ქვეგანაყოფები. მოქმედებს კომენდანტის საათი.

ლაქნაუში გამოსვლისას, უტარ-პრადეშის მთავარმა მინისტრმა შრაპატი მიშრამ განაცხადა, რომ „შეტაკებანი მირუტში ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით გულდასმით შემუშავებული შეთქმულების შედეგია".

საბჭოთა საქართველოს კვირეული ფინეთში

ჰელსინკი. ფინეთის საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელის მზიური საქართველოს წარგზავნილთა ჩამოსვლას, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა კავშირს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საბჭოთა კულტურის კვირეულში. იგი გაიმართება ფინეთში 9-16 ოქტომბერს, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების დირექტორ-განმკარგულებლის მოადგილემ ქ. ლეხტინენმა.

საბჭოთა კულტურის კვირეული, თქვა მან, ფინეთში მერვედ ეწყობა 1967 წლიდან მოყოლებული, როცა ფინეთის მრავალი ქალაქის მცხოვრებნი პირველად გაეცნენ ესტონეთის რესპუბლიკის მიღწევებს კულტურისა და ხელოვნების დარგში. საგულისხმოა, ხაზგასმით აღნიშნა ქ. ლეხტინენმა, რომ ამჯერად, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს, გვესტუმრებიან საბჭოთა საქართველოს წარმოგზავნილები. ჰელსინკისა და ფინეთის სხვა ქალაქების მცხოვრებლებს საშუალება მიეცემათ დაესწრონ ქართველი ხელოვნების ოსტატთა კონცერტებს, გაეცნონ ეროვნული ფერწერისა და გრაფიკის შედევრებს, ნახონ საქართველოს სს რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა მიერ შექმნილი ფილმები.

კვირეულის პროგრამა ფართოა, თქვა ქ. ლეხტინენმა. იგი დაიწყება ჰელსინკში 9 ოქტომბერს მხატვარ-გრაფიკოს დ. ნოდიას გამოფენის გახსნის ცერემონიით. მეორე დღეს სასახლე „ფინეთში" გაიმართება კვირეულის საზეიმო გახსნა. იგი დამთავრდება 16 ოქტომბერს ქალაქ იუვიასკიულიაში დიდი სადღესასწაულო კონცერტით.

კვირეულის დროს მოეწყობა ფოტო და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენები, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ფინეთის 12 ქალაქში გაიმართება კლასიკური, საესტრადო და ხალხური მუსიკის კონცერტები ქართველ ხელოვანთა მონაწილეობით.

საბჭოთა კულტურის კვირეულით, თქვა ქ. ლეხტინენმა, ფინეთში დაიწყება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი.

ფოტოფაქტი

აშშ. კლივლენდში გაიმართა საპროტესტო მანიფესტაცია ისრაელი აგრესორების მიერ დასავლეთ ბეირუთის მშვიდობიან პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის გამო. დემონსტრანტებმა მოითხოვეს ლიბანიდან ისრაელის მთელი ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა და თელ-ავივისათვის ამერიკული სამხედრო და ეკონომიკური დახმარების შეწყვეტა.

სურათზე: კლივლენდის მანიფესტაციის ერთ-ერთი მონაწილე. პლაკატზე წარწერილია „ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა 7 მილიონი დოლარი ხმარდება ყოველდღიურად ლიბანში ისრაელის ბარბაროსულ აგრესიას".

აპ-საქდესის ტელეფოტო.

● შვეცია

უ. პალმე კვლავ პრემიერია

სტოკჰოლმი. შვეციის რიქსდაგმა (პარლამენტმა) ქვეყნის პრემიერ-მინისტრად აირჩია შვეციის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ულოფ პალმე. ექვსწლიანი შესვენების შემდეგ იგი კვლავ ჩაუდგება სათავეში ერთპარტიულ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას.

ზემოაღნიშნულ პარტიას, რომელმაც 19 სექტემბერს გამართულ საყოველთაო არჩევნებზე რიქსდაგში 349 ადგილიდან 166 მიიღო, ახლა დეპუტატთა მანდატების უმრავლესობა აქვს, ვიდრე მის მეტოქე სამ ბურჟუაზიულ პარტიას, რომლებმაც ამომრჩევლების დიდი ნაწილის ნდობა დაკარგეს.

● შვეიცარია

მოლაპარაკება განახლდა

ჟენევა. აქ დელეგაციათა მეთაურების შეხვედრით განახლდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ. სსრ კავშირის დელეგაციას სათავეში უდგას ვ. პ. კარპოვი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — ე. რაუნი.

სინხუას სააგენტოს კომენტარი

პეკინი. „ამერიკის შეერთებულ შტატებს პასუხისმგებლობა ეკისრება ბეგინის მთავრობის ბოროტმოქმედებისათვის. სწორედ ვაშინგტონი ნიადაგ აფარებდა ხელს ისრაელის ექსპანსიასა და აგრესიას, კერძოდ პალესტინელ მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტასაც", — აღნიშნავს სინხუას სააგენტო, რომელიც განმარტავს გამოსვლებს, ისრაელში რომ ეწყობა ბეგინის პოლიტიკის და ბეირუთში მყოფ პალესტინელ ლტოლვილთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ.

კომენტარში, რომელიც ინგლისურ ენაზე გამომავალმა გაზეთმა „ჩაინა დეილიმ" გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ „ამერიკის მთავრობის წარმომადგენელთა გამოსვლებმა ისრაელის უშიშროების უზრუნველსაყოფად შეერთებული შტატების ვალდებულებათა თაობაზე წააქეზეს ბეგინის მთავრობა ამ აგრესიისათვის".

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

აფრიკაში სამოგზაუროდ

პარიზი. საფრანგეთის პრეზიდენტი ფ. მიტერანი აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობს. იგი ეწვევა ბურუნდის, რუანდას, ზაირს, სადაც მონაწილეობას მიიღებს უმაღლეს დონეზე საფრანგეთ-აფრიკის მე-9 შეხვედრაში, აგრეთვე კონგოს სახალხო რესპუბლიკას.

დააპატიმრეს შეთქმულნი

ნაირობი. კენიის სამხედრო-საჰაერო ძალების კიდევ 9 სამხედრო მოსამსახურეს მიუსაჯეს 6-დან 23 წლამდე პატიმრობა ამა წლის აგვისტოში წარუმატებელ სამხედრო გადატრიალების ცდაში მონაწილეობისათვის.

სხვადასხვა ვადის პატიმრობამისჯილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა საერთო რიცხვმა 116-ს მიაღწია.

დედაქალაქს სახელი შეუცვალეს

დაკა. ამიერიდან ბანგლადეშის დედაქალაქს დაკას ეწოდება დჰაკა. ეს სახელწოდება უკეთ გამოითქმის ბენგალურ ენაზე.

ეს გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის მინისტრთა საბჭომ, რომელსაც მეთაურობს მთავარი სამხედრო ადმინისტრატორი გენერალ-ლეიტენანტი ხ. მ. ერშადი.

გამოძიება დამთავრდა

კაირო. ეგვიპტეში დამთავრდა რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაციის „ალ-ჯიჰად ალ გედიდის" ხელმძღვანელთა და აქტივისტთა დიდი ჯგუფის საქმის გამოძიება. ეს ორგანიზაცია, ოფიციალური ვერსიის თანახმად, შარშან შემოდგომაზე გეგმავდა ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. როგორც გაზეთი „აშ-შააბი" იუწყება, პროცესი 17 ოქტომბერს დაიწყება ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების უმაღლეს სასამართლოში.

● ბოლივია

აირჩიეს პრეზიდენტი

ლა-პასი. ბოლივიის ეროვნული კონგრესის აქ გამართულ სხდომაზე მემარცხენე ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის თავმჯდომარე ერნან სილეს სუასო აირჩიეს ქვეყნის ახალ პრეზიდენტად. ბოლივიის ვიცე-პრეზიდენტი გახდა მემარცხენე რევოლუციური მოძრაობის გენერალური მდივანი ხაიმე პას სამორა. ორივე პოლიტიკურმა მოღვაწემ ხმების უმრავლესობა მიიღო 1980 წლის ივნისის არჩევნებში, როდესაც ე. სილეს სუასო მემარცხენე ძალების გაერთიანებული დემოკრატიული და სახალხო ერთიანობის ბლოკის წარმომადგენელი იყო. ამგვარად, ბოლივიელმა ხალხმა არჩევანი გააკეთა მემარცხენე ძალთა სასარგებლოდ, რომლებიც თანამიმდევრობით გამოდიან დემოკრატიის დასაცავად, რეაქციული მხედრიონის, იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ. მაგრამ ამ არჩევნების შედეგები გააუქმა 1980 წლის 17 ივლისის სამხედრო გადატრიალების შედეგად, როდესაც ხელისუფლების სათავეში ჩაუდგა სამხედრო რეჟიმი.

უკანასკნელ ხანს ხელისუფლების სათავეში მყოფი სამხედროები იძულებული გახდნენ პროგრესული საზოგადოებრიობის მოთხოვნათა ზეგავლენით ქვეყანაში ხელისუფლება გადაეცათ სამოქალაქო მთავრობისათვის, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად 1980 წლის არჩევნებზე აირჩიეს.

ე. სილეს სუასოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის დღეს ლა-პასის ქუჩებსა და მოედნებზე ათი ათასობით მცხოვრები გამოვიდა. ისინი ერთხმად გაიძახოდნენ — „ხალხი უძლეველია!", „არ გვინდა რეაქცია და იმპერიალიზმი!" გაისმოდა ლოზუნგები დემოკრატიული და სახალხო ერთიანობის ბლოკის მხარდასაჭერად. ქალაქის სხვადასხვა რაიონში დაყენებული ხმის გამაძლიერებლები გადასცემდნენ პროგრესული ძალების წარმომადგენელთა სიტყვებს, რომლებიც ლაპარაკობდნენ მშრომელებისა და მთელი ბოლივიელი ხალხის უფლებათა დაცვისათვის თავდადებული ბრძოლის შესახებ.

ამჟამად პერუში ემიგრაციაში მყოფ ე. სილეს სუასო 10 ოქტომბერს ეროვნულ კონგრესში ფიცს დაადებინებენ, როგორც სახელმწიფოს მეთაურს.

თქვენი წიგნის თაროსათვის

„ბაქოს კომუნის მგზნებარე გული"

თაობათა მადლიერ ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება ოქტომბრის პირველმკვლელთა სახელები, რომლებიც ლენინური პარტიის რევოლუციური დროშით სიცოცხლის დაუზოგავად უტევდნენ ძველ სამყაროს, იბრძოდნენ მშრომელთა თავისუფლებისათვის, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის. ლენინური გვარდიის სახელოვანი მებრძოლი იყო პროკოფი (ალიოშა) აფრასიონის ძე ჯაფარიძე.

ალიოშა ჯაფარიძეს — სახელგანთქმულ რევოლუციონერს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს ლეგენდარული ბაქოს კომუნის ერთ-ერთ ხელმძღვანელს მიუძღვნა წიგნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჰეიდარ ალის ძე ალიევმა „ბაქოს კომუნის მგზნებარე გული", რომელიც ქართულ ენაზე გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ".

წიგნში შეტანილია ამხ. ჰ. ა. ალიევის მოხსენება პ. ა. ჯაფარიძის დაბადების 100 წლისთავის საზეიმო კრებაზე, რომელიც ბაქოში 1980 წლის 18 იანვარს გაიმართა, პ. ა. ჯაფარიძის ძეგლის საზეიმო გახსნაზე ბაქოში 1980 წლის 17 იანვარს წარმოთქმული სიტყვა და 1980 წლის 15 იანვარს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული სტატია „შთამომავლობისათვის საბაგალითოდ". (საქინფორმი).

„პარტიული სიტყვა" № 18

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მორიგი, მეთვრამეტე ნომერი.

განყოფილებაში „60. მძლე კავშირი ძმური" რუბრიკით „მეგობრები გვწერენ" თქვენ გაეცნობით ა. ლაურინჩიუკასის წერილს — ბედნიერების ზარი; ხოლო რუბრიკით „ვემსახუროთ მამულს ნამუსიანად" დაბეჭდილია — ღირსეულად შევხვედრ სახელოვან იუბილეს!

აწმყოდ „დღეს როგორც ვიშრომებთ, ხვალ ისე ვიცხოვრებთ" გამოქვეყნებულია ე. გელაშვილის წერილი — როცა სკრას ჩაუვლი...

რუბრიკით „ვინც სიტყვის ჯარისკაცია" დაბეჭდილია ქ. დოლიძის სიბრძნე ცხოვრებისა.

განყოფილებაში „თქვენი თხოვნით" გაეცნობით ქ. გეგელაშვილის წერილს — ექიმებმა იციან, ექიმებს დაეჯერებათ.

ჟურნალში გამოქვეყნებულია ე. ტირდატოვას წერილი — მამა-შვილი დასენები.

რუბრიკით „იურიდიული სამსახური" თქვენ გაეცნობით წერილს — კოჰუნალური შეღავათები სამამულო ომის ინვალიდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Сәлем саған, Қазақстан!

სალამი შენდა, ყაზახეთო!

ძმობის მისამართები

…ვიდი ათასი კილომეტრი, ორი საათობრივი სარტყელი აშორებს საქართველოს ყაზახეთისაგან. ამ მიწიერი და კოსმოსური …რობის მხარეში ძმობის მისამართები საკმაოდ მოგვეპოვება.

…მირის ეპოპეის დასაბამიდან, … საქართველოს კომკავშირელებმა ნებაყოფლობით, გულის კარნახით მოახმარეს თავიანთი ძალები შორეული მხარის აღორძინებას, ყაზახეთის საწარმოო ძალების განვითარებაში მონაწილეობა …ობელი გახდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის.

…ეყნის ამ მნიშვნელოვან რეგიონში ძნელი მოსაძებნია ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, რომლის განხორციელებაში ჩვენს თანამემამულეებს წვლილი არ შეეტანოთ.

…უხედავად ამისა, ზოგიერთი …მართის დაზუსტებაში დახმარება მაინც დაგვჭირდა. ყველას …ხსენება, რომ უცხო მხარეში …გი გზამკვლევი მისწრებაა.

…წორედ ასეთი აღმოჩნდა ჩვე…ური კაცი, ალმა-ათის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა … სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგე მამია ბაქანიძე. იგი …5 წელია აქ ნაყოფიერ კვლევით …მობას ეწევა ასახვის თეორიასა … მეცნიერების მეთოდოლოგიის …გში; გამოცემული აქვს მონოგრაფიები „ლოგიკური ფორმების …ორდინაციის პრობლემა", „კონ…ეტულობის პრინციპი თანამედროვე მეცნიერებაში" და სხვ. … გამოვა კოლექტიური მონოგრაფია 4 ტომად „დიალექტიკური …გიკა", რომლის ერთ-ერთი ტომი მ. ბაქანიძის ხელმძღვანელობით …წერა.

…ვენმა თანამემამულემ გაგვიადვილა თბილისიდან წაღებული …ბის მისამართებით ყაზახ მე…რებთან დაკავშირება.

— უთუოდ კმაყოფილი დარჩება „ვეფხისტყაოსნის" მთარგმ…თან ხამზა აბდულინთან შეხ…რით, — გვითხრა მამიამ და … ტელეფონიც ჩაგვაწერინა.

…რთლაც სწორი გამოდგა. როცა კი ხ. აბდულინს შევატყობინეთ, თქვენთან საუბარი გვინდა, უმალ ჩვენთან გაჩნდა. თან …იტანა უამრავი მასალა ქართული და ყაზახური ლიტერატურის ურთიერთობაზე. გვისახსოვ… მის მიერ თარგმნილი ირაკლი …იძის ლექსების კრებული „საქართველოს ცის ქვეშ", რომელიც …მან გამოუშვა გამომცემლობა …ზუშიმ".

— მალე გურამიშვილის თარგმანს დავამთავრებ, — გვეუბნება აბდულინი და გატაცებით, ღრმა ცოდნით ლაპარაკობს პოეტზე, მისი დროის საქართველოზე, …რამ ჩვენი საუბარი მაინც რუსთაველის ირგვლივ ტრიალებს.

— რუსთაველი გენიალურ პოეტთა შორის ყველაზე მაღლა …ს და ჩემი თარგმანით სწორედ … მინდოდა მეჩვენებინა ყაზახი …ხველისთვის, — ამბობს იგი, — და … ეს ვერ შევძელი, ჩემი შვი…ბი — თინათინი და შოთა შეძლებენ.

…არგმანის წარმატებას მოწმობს …, რომ 40 ათასიანი ტირაჟი …ლე გაქრა. ახლა კი მისი ახალი …მოცემა მზადდება.

…დიდი პურის, კოსმოსური სტარტების მიწა

ყაზახეთი უკიდეგანო ტრამალების, ვაჟკაცობის, შრომისა და სიყვარულის სიმბოლოა, ამბობს …ეტი.

…მ სიტყვებში იგულისხმება ყამირის დიდი პური, ეკიბასტუზის დიდი ენერგია, კოსმოსური სტარტების მიწა — ბაიკონური და კიდევ ბევრი სიკეთე, რითაც ესოდენ მდიდარია ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ამ სიმდიდრის შემოქმედად ყაზახ ხალხს ჭეშმარიტად რომ დიდი ოქტომბერი მიაჩნია.

ამ სიკეთის შემოქმედნი არიან რესპუბლიკის გამრჯე ადამიანები, რომლებსაც ახალი ცხოვრების შენებაში მხარში უდგანან ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის მშრომელები.

ამას მოწმობს თვით ყამირის მეურნეობების, დასახლებების სახელწოდებები „მოსკოვსკი", „ლენინგრადსკი", „კიევსკი", „მინსკი", „ოდესსკი", რომლებიც ხალხთა მეგობრობის სიმბოლოდ ჟღერს.

სწორედ მეგობრობის წყალობაა, რომ ყაზახეთი ყოველწლიურად მილიარდ ფუთ პურს აბარებს სახელმწიფოს. მაგრამ ყამირის მრავალწლიანმა ეპოპეამ მხოლოდ დიდი პური როდი მოუტანა ყაზახეთს. ყამირის გატეხვა მძლავრი მრეწველობის შექმნის, მეცნიერებისა და კულტურის სწრაფი განვითარების დასაბამი გახდა. ამაში დავრწმუნდით, როცა ეკიბასტუზის ახალი გიგანტური თბოელექტროკომპლექსი დავათვალიერეთ.

გიგანტურია ეს კომპლექსი იმიტომ, რომ იაფი ქვანახშირით გამომუშავებულ მილიონობით კილოვატსაათ ელექტროენერგიას აწვდის ქვეყნის ცენტრს. ურალს, ციმბირს, ალტაის მხარეს, ყაზახეთის სამხრეთს. თვით მისი შენობაც საოცრად გრანდიოზულია.

მისი მილებიდან დღეღამეში ათიათასობით ტონა დამწვარი ქვანახშირის კვამლი ამოდის. ეს აუარება სათბობი კი 20 კილომეტრის მოშორებით მსოფლიოში ყველაზე დიდ ეკიბასტუზის აუზში როტორული ტექნიკით, ღია წესით მოიპოვება და ამიტომაც ყველაზე იაფი ჯდება ქვეყანაში.

აქ ყველაფერი შთამბეჭდავი და საგულისხმოა, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივი და სასიამოვნო აღმოჩნდა ის, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვანახშირის წარმოებას „ეკიბასტუზქვანახშირის" გაერთიანებას ჩვენი თანამემამულე ვიაჩესლავ ვლადიმერის ძე კალანდარაშვილი ხელმძღვანელობს.

ეს დიდი ნდობა ქართველმა ინჟინერმა, უწინარეს ყოვლისა, პროფესიული კომპეტენტურობით, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით დაიმსახურა, მაგრამ მას არანაკლებ სახელს უხვეჭს ის, რომ ფლობს ხელმძღვანელისათვის მეტად საჭირო თვისებას, ადამიანებისადმი გულისხმიერებას, დასახული მიზნისაკენ კოლექტივის გაყოლიების უნარს.

… და მოვა ახალი ცხოვრება

სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობით, მშენებლობის მასშტაბით ეკიბასტუზს არ ჩამოუვარდება ალმა-ათის დიდი არხი, რომელიც მთისწინეთის ალათაუს გვალვიან 25 ათას ჰექტარს მორწყავს, სტაბილური მოსავლის ზონაში მოაქცევს ნახევარ მილიონ ჰექტარ ყამირსა და სახნავს, რომლებსაც დღეისათვის ინტენსიურად არ იყენებენ.

ჩვენ ამ არხის მშენებლობაზე მხოლოდ მისი საინჟინრო და ტექნიკური სირთულის გასაცნობად როდი მოვსულვართ. აქ, სადაც ორმოცი ერის წარმომადგენელი ორი ათასი კაცი გზას უკვალავს არხს ალმა-ათისაკენ, ჩვენებურები — გურამ ჩხიკვაძე, ვალიკო ცაავა და კარლო ლაზარაშვილი შრომობენ.

გურამი მემკვიდრეობით ყამირელია. მამამისი გრიგოლი ყაზახეთის ყამირს ტეხდა, სასოფლო-სამეურნეო ობიექტებს აშენებდა კოკჩეტავის ოლქში. ახლა კი მამის კვალს შვილი მიჰყვება ტრამალებში. მერვე წელია „ისიკწყალმშენის" ტრესტის № 124 მოძრავ მექანიზებულ კოლონას ხელმძღვანელობს.

ეს კოლონა სამუშაოებს აწარმოებს ჩილიკის რაიონში, სადაც მდინარეებისა და მოსალოდნელი ღვარცოფების ადგილებზე არხის გასაყვანად დიუკერებში 3-მეტრიანი დიამეტრის 27-ტონიან მილებს აწყობენ.

— ამ მოცულობისა და კონსტრუქციის მილები ჯერ არსად გამოუყენებიათ ჩვენს ქვეყანაში, გვეუბნება გურამი, მათ ჩასაწყობად ალმა-ათაში სპეციალური მანქანა შექმნეს. მისი ტვირთამწეობა ასი ტონაა.

პასუხსაგებ უბანზე, სარწყავი სისტემის ცენტრში — გიგანტური წყალსაცავის მშენებლობაზე მუშაობს დამკვრელი მეექსკავატორე კარლო ლაზარაშვილი. იგი იღებს გრუნტს მდინარე ჩილიკზე, ბარტაგაის მიჯნაზე, სადაც ქვაყრილი კაშხალი უნდა შეიქმნას.

ამ კაშხალში წლეულსვე წყლის დიდძალ მარაგს დააგროვებენ. წლის დამლევისათვის კი ტრამალზე წყალთან ერთად მოვა ახალი ცხოვრება. ხელოვნური მდინარის ნაპირებზე შეიქმნება 12 ახალი მეურნეობა და ამ ახალი ცხოვრების შემოქმედნი მოძმე რესპუბლიკების წარგზავნილებთან ერთად იქნებიან ჩვენი თანამემამულენი.

რქაწითელი ტრამალებში

ზაილის ალათაუს მთისწინეთში, სადაც მცხუნვარე მზე და ნიადაგის ტენის ნაკლებობა ვაზის გაშენებისათვის სარისკო პირობებს ქმნის, მორწყვის პრობლემაც გადასაწყვეტია, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტში" ვენახი 2 ათას ჰექტარზეა გაშენებული.

ამ უჩვეულო გარემოში, სადაც ზამთრობით ვაზს მიწით ფარავენ და გაზაფხულზე ამოთხრიან ხოლმე, თავს ჩინებულად გრძნობენ ჩვენებური „საფერავი" და „რქაწითელი", რომელთაც 500 ჰექტარი უჭირავთ.

— რქაწითელის და საფერავის სარწყავი მასალა საქართველოდან ჩამოვიტანეთ, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბახიდჟან სულეიმენოვმა, ეს ჯიშები უხვსა და საუკეთესო პროდუქციას გვაძლევენ. განსაკუთრებით ვემადლიერებით რქაწითელს, რომელიც ჩვენთან ყველაზე უკეთ ეგუება ყინვას და შაქრიანობითაც პირველობს. ამასთან, ადვილი მისასადაგებელია მექანიზაციისათვის. ჩვენი მეურნეობის ექსპერიმენტი მოწმობს, რომ რქაწითელისაგან დაყენებული ჩვენებური ღვინო ბევრ აღიარებულ სამარკო ღვინოს გაუწევს კონკურენციას.

ბახიდჟან სულეიმენოვი საქართველოში 60 წლისთავის იუბილეს ზეიმზე ნამყოფია და სიამოვნებით გაგვიზიარა შთაბეჭდილებები, გვესაუბრა იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებენ რქაწითელის მოვლა-მოყვანის ჩვენებურ გამოცდილებას. სიამაყით გვაცნობა, რომ მეურნეობაში ვენახის მოვლის ყველა სამუშაოს, ყურძნის კრეფის გარდა, მექანიზმები ასრულებენ.

— მალე ყურძენსაც მანქანით მოვკრეფთ, — საუბარში ჩაერია მეურნეობის მთავარი ინჟინერი ქალილ ქამიევი, — და რთველში მოსავლის ასაღები კომბაინის ნახვა შემოგვთავაზა.

ეს ერთადერთი კომბაინი ყირიმიდან, მაგარაჩის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტიდან ჩამოუტანიათ და აქ პირველ გამოცდას გადის.

მთავარი ინჟინერი და ღვინის ქარხნის დირექტორი მუსტაფა ახმედოვი გამოცდის შედეგებით კმაყოფილნი არიან.

ექსპერიმენტი კი დიდი გულისყურით გრძელდება: ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ყურძნის მოსავლის ასაღები ერთი კომბაინი რთველში 150 კაცს შეცვლის.

● ●

სურათზე: ალმა-ათის დიდი არხის მშენებლობის ტრასა. „ისიკწყალმშენის" ტრესტის № 124 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი გურამ ჩხიკვაძე.

ბ. ილინის ნახატი.

ალმა-ათაში დამთავრდა საზოგადოებრივი ცენტრის აგება. ახალმა მოედანმა დაამშვენა ყაზახეთის დედაქალაქი. მის ერთ მხარეს აღმართა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა, მეორე მხარეს — ორი 16-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ორი საპროექტო ინსტიტუტის შენობა. შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც შექმნილია ალმაათელი არქიტექტორების ა. კაპანოვის, კ. მონტახაევის, რ. სეიდალინის, ი. თუმანიანის და სხვათა პროექტის მიხედვით, წარდგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიაზე.

ი. ბუდნევიჩისა და ვ. კაველინის ფოტო.

…ვარსკვლავები ახლოსაა

საქდესის ტელეტაიპის ლენტიდან: ორიონის ნისლეულის რაიონში ვარსკვლავთშორისი აირ-მტვრის ღრუბლების მანამდე უცნობი თავისებურებანი აღბეჭდილია ფოტოსურათებზე, რომლებიც მიღებულია ევრაზიის ყველაზე მაღალი მთის ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. იგი მუშაობას შეუდგა ჩრდილოეთ ტიან-შანის მთებში, ზღვის დონიდან 2700 მეტრის სიმაღლეზე. ახალ ობსერვატორიაში დაყენებულია ერთნახევარი და 2,6 მეტრი დიამეტრის ტელესკოპები, რომლებიც ლენინგრადელმა ოსტატებმა დაამზადეს, მათთვის შენდება სეისმომედეგი კოშკი, რომელიც გათვალისწინებულია ცხრაბალიანი მიწისძვრისათვის.

განმარტებას გვაძლევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი ევგენი ხარაძე.

— ყაზახეთის ასტროფიზიკოსების, კერძოდ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის დ. როჟდენსტვენსკის ნაშრომები აირ-მტვრის ნისლეულების კვლევაში, გარკვეული წვლილია ჩვენი გალაქტიკის ვარსკვლავთშორისი გარემოს შესწავლაში. დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ქართველი მეცნიერები ყაზახეთის ასტროფიზიკური ინსტიტუტის დირექტორის ტ. ომაროვის ნამუშევრებს ვარსკვლავთა დინამიკის დარგში. ჩვენთან, აბასთუმანშიც არის ჯგუფი, რომელიც აგრეთვე ამ თემაზე მუშაობს. ყაზახეთის ასტროფიზიკოსებთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს პლანეტების ატმოსფეროს შესწავლის დარგში. ელექტროპოლარიმეტრული გამოკვლევები აბასთუმანში და ფოტომეტრული სამუშაოები ჩრდილოეთ ტიან-შანის მთებში ფაქტიურად ავსებენ ერთმანეთს.

აბასთუმნის ობსერვატორია, რომელსაც ნახევარი საუკუნე შეუსრულდა, ქვეყანაში პირველი მაღალი მთის ობსერვატორიაა. ყაზახეთის ობსერვატორია კი ყველაზე „ახალგაზრდა" და ყველაზე მაღალმთიანია. იგი აბასთუმნის ობსერვატორიაზე ათასი მეტრით მაღალია. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს ჩვენს თანამშრომლობას. ბევრი ახალგაზრდა ყაზახი ასტროფიზიკოსი გადიოდა სტაჟირებას აბასთუმანში. ამას წინათ კი ისინი აქ მზეს აკვირდებოდნენ. მართალია, მზიანი დღეები ჩვენში წელიწადში იმაზე მეტი არ არის, ვიდრე ყაზახეთში, მაგრამ აბასთუმნელი ინჟინრების მიერ შექმნილი ახალი აპარატურა საშუალებას გვაძლევს გადავიღოთ უმაღლესი ხარისხის ფოტოსურათები.

მიმდინარე ხუთწლედში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად გამოკვლევებს აწარმოებს პამირზე. ექსპერიმენტი „პამირი" გათვალისწინებულია 1981–1985 წლებისათვის. დიდი ხნის და მრავალმხრივი კონტაქტები აქვთ დამყარებული ქართველ და ყაზახ მეცნიერებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა: ისტორიის, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში.

ვუბრუნდები რა ასტროფიზიკოსთა მუშაობას, სულითა და გულით წარმატებანი მინდა ვუსურვო ჩვენს ყაზახ კოლეგებს. დაე მათ, როგორც ერთმანეთს უსურვებენ ხოლმე ასტრონომები, დაჰხურებდეს ნათელი, მოწმენდილი ცა — დაკვირვებებისათვის, კოსმოსში გაფრენისათვის, ამქვეყნად ბედნიერი ცხოვრებისათვის.

თერჯოლელთა მინდორი

გაჩაღებულია ალოობა. დღითი დღე ახლოვდება ის სანუკვარი დრო, როცა ყველაზე არახელსაყრელ წელიწადს მინდვრად არც ერთი თავთავი არ დარჩება. მ. გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში, სადაც ისიც შრომობს, თავთავიანები მომკილია 17 ათას ჰექტარზე. ეს მეურნეობის ყანის ნახევარზე მეტია. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამაში მოსი, საქართველოდან, თერჯოლიდან ჩამოსულის შრომითი წვლილიც არის.

— ილია ბერიანიძე ჩვენთან მოწინავეთა შორის ირიცხება, — დიდი კმაყოფილებით ამბობს მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. გობოჟა და სოციალისტური შეჯიბრების ბიულეტენის მომარჯვებით, განაგრძობს, აი, ნახეთ, ბოლო ხუთ დღეში მან მომკა 150 ჰექტარი. განალეწმა კი 90 ტონა შეადგინა, როგორც ნამდვილ მექანიზატორს შეეფერება.

მაშ ასე, ახლა მემკვიდრეობით მეჩაიე ილია ბერიანიძეს ჩინებულ მემინდვრეს უწოდებენ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ თერჯოლელებმა, როდესაც ლ. ი. ბრეჟნევის „ყამირი" წაიკითხეს, გადაწყვიტეს მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ყაზახეთის ყამირთან. მათ წერილი მისწერეს პარტიის ათბასარის რაიკომს. ათბასარელებმაც დიდი კმაყოფილებით მიიღეს ეს წინადადება. ასე დამყარდა მეგობრობა საქართველოს მეჩაიეებსა, მეღვინეებსა და ცელინოგრადის ოლქის მემინდვრეებს შორის.

ახლა უკვე ტრადიციად იქცა ყოველწლიურად სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, საუკეთესოთა დაჯილდოება, დელეგაციების გაცვლა, ეკონომიკური კავშირურთიერთობა.

ტრადიციად იქცა ალოობის დროს თავიანთი მეგობრებისადმი, ყამირელებისადმი თერჯოლელთა დახმარება. ყოველწლიურად ათბასარის რაიონში ჩამოდის კომბაინერთა ჯგუფი. ილია ბერიანიძეც სამი წლის წინათ სწორედ ასეთ ჯგუფში გორკის სახელობის მეურნეობაში მოხვდა. მაშინ დიდებული მოსავალი იყო. მეურნეობამ სახელმწიფოს სამ მილიონზე მეტი ფუთი პური მიჰყიდა. თერჯოლელი კომბაინერი სხვებს არ ჩამორჩა. მან 100 ტონა მარცვლეული გალეწა.

თქმა არ უნდა, წლეულს ასეთი მაღალი მიჯნის მიღწევა ძნელია, მაგრამ იგი, როგორც ადრინდელი ალოობის დროს, არ აპირებს ჩამორჩეს სხვებს. ასე ფიქრობენ მისი თანამემამულენი ბ. დათუაძე, თ. ნემერიძე და სხვები. ამ მეურნეობაში საქართველოს დაძმობილებული რაიონებიდან სულ რვა წარგზავნილი შრომობს.

… მიმდინარეობს ალოობა. ავტომანქანები მინდორში მიიჩქარიან, მინდორში, სადაც ილია ბერიანიძე და მისი თანამემამულენი თავიანთ მეგობრებთან, გორკის სახელობის მეურნეობის მემინდვრეებთან ერთად მუშაობენ. ისინი კი სტეპის ხომალდების ხვიმირებს სწრაფად ავსებენ და ტრანსპორტელებს ელოდებიან. მეგობრობის მინდორი ჰექტარზე 8-9 ცენტნერ პურს იძლევა. სხვათა შორის, ეს ახლა რაიონში მაღალი მოსავალია.

ე. შაიმერდენოვი,
გაზეთ „სოც. ყაზახსტანის" საკ. კორ.

ცელინოგრადის ოლქი, ათბასარის რაიონი. გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობა.

ციფრები და ფაქტები

● **საბჭოთა** ხელისუფლების დამყარებამდე ყაზახეთის ელექტროსადგურების სიმძლავრე თანამედროვე თბომავლის სიმძლავრეს არ აღემატებოდა. დღეს ელექტროენერგიის წარმოების მიხედვით რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში მესამე ადგილზე გავიდა: ყოველწლიურად იგი 60 მილიარდზე მეტ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

● **სსრ კავშირის შექმნის** 60 წლისთავის წელს რესპუბლიკის მრეწველობა პროდუქციის გამოშვების მოცულობით 250-ჯერ გადააჭარბებს 1913 წლის დონეს. მხარე, სადაც დიდ ოქტომბრამდე შრომის ძირითადი იარაღი თოხი იყო, დღეს აწარმოებს ექსკავატორებს, ტრაქტორებს, სამჭედლოსაწნეხ მოწყობილობას, საგლინავ და ლითონსაჭრელ ჩარხებს, ყაზახეთის პროდუქცია მსოფლიოს 80-ზე მეტ სახელმწიფოს ეგზავნება.

● **რესპუბლიკის** ფერადი მეტალურგიის პროდუქცია მაღალი ხარისხით გამოირჩევა. უსტ-კამენოგორსკის თუთია, ბალხაშისა და ჯეზყაზღანის კათოდური სპილენძი ეტალონად არის მიჩნეული ლონდონის ფერადი ლითონების ბირჟაზე.

● **მოძმე** რესპუბლიკების დახმარებით ყაზახეთში ათვისებულია 25 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწა. რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს ბეღლად იქცა. მის წილად მოდის სსრ კავშირში წარმოებული ლონიერი და ძვირფასი ჯიშის ხორბლის 70 პროცენტზე მეტი.

● **ცელინოგრადის** ეროზიის საწინააღმდეგო ტექნიკის საწარმოო გაერთიანებაში საბჭოთა კავშირში პირველად დაიწყეს ისეთი მანქანების გამოშვება, რომლებიც საიმედოდ ებრძვიან ნიადაგების ნაყოფიერების შემცირებას ყამირ ზონებში. მას შემდეგ, რაც ხუთწლედის დამლევს მწყობრში ჩადგება ახალი სიმძლავრენი, საბჭოეთის მეურნეობები თითქმის ერთიორად მეტ ბრტყელსაჭრელ კულტივატორებს, სათესებს და სხვა დიდმწარმოებლურ აგრეგატებს გაიგზავნება.

● **ახლა ყაზახეთის** სატრანსპორტო მაგისტრალების სიგრძე 160 ათასზე მეტ კილომეტრს უდრის. ტვირთზიდვის მოცულობა, 1913 წელთან შედარებით, თითქმის 500-ჯერ გაიზარდა.

● **ყაზახეთის** პირველი უმაღლესი სასწავლებელი — პედაგოგიური ინსტიტუტი 1928 წელს გაიხსნა. მაშინ აქ 75 კაცი სწავლობდა. ახლა რესპუბლიკაში 250 ათასზე მეტი სტუდენტი 55 უმაღლეს სასწავლებელში იღებს განათლებას.

● **რესპუბლიკის** ტერიტორიაზე 1913 წელს სულ 244 ექიმი და 393 ფერშალი იყო. დღეს ყაზახეთში 46 ათასი ექიმია.

● **ყაზახეთში** 20 ათასზე მეტი ბიბლიოთეკა მოქმედებს. მათი რაოდენობა, რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, 67-ჯერ გადიდდა. მარტო ბოლო ხუთწლედში 600-ზე მეტი ახალი წიგნსაცავი გაიხსნა.

…ალტაი მუხამეჯანოვის სამ…შაო კაბინეტში მთელი კედლის …ოლებაზე წიგნის თაროებია …თავსებული. მათგან ორი უკ… ერთნაირყდიან წიგნებს. …გრამ ეს არ არის ერთი ავ…რის თხზულებათა კრებული. … ყაზახური ენის რუსული …ანი საშუალებას გვაძლევს …აფად ვიპოვოთ ნაცნობი სა…ები — ტაბიძე, ჩიქოვანი, …სახურდია, აბაშიძე.

…ს ბიბლიოთეკა ძვირფასია …ბილი ყაზახი დრამატურგის … მუხამეჯანოვისათვის არა მა…ო როგორც პოეზიისა და …ზის დამფასებლისათვის, არა…დ როგორც ყაზახეთის მწე…ალთა კავშირის გამგეობის …ვენისათვის. „მეგობრობის …ლიოთეკის" ორმოცი ტომი, …ელშიც წარმოდგენილია სსრ …შირის მთელი ეროვნული …ტერატურები, ყაზახი პოე…ბის, მწერლების, მთარგმნე…ბის მრავალი წლის შემოქმე…ბითი შრომის ნაყოფია.

— ამ ბიბლიოთეკის პირველი ტომი გამოვუშვით სსრ კა…რის შექმნის 50 წლისთავ…, — გვითხრა კ. მუხამე…ნოვმა. — მაშასადამე, წელს …ისებური იუბილე გვაქვს: …ლიოთეკის ათი წლისთავი. …ში წარმოდგენილია ბევრი …ამედროვე ქართველი ავტო… მაგრამ, რა თქმა უნდა, …ახურ ენაზე ქართული ლი…ატურის თარგმნის სათავე …ი რუსთაველით იწყება, გა…ვეყნდა ყაზახურ ენაზე …ზა აბდულინის მიერ თარგ…ლი „ვეფხისტყაოსნის" პირ…ლი სრული ტექსტი, 25 წე… მუშაობდა პოეტი თარგმან… და ხსნიდა ქართული შაირის …უმლოებას. შეიქმნა …რის ათზე მეტი ვარიანტი. …ლი თბილისში ინახება, სა…თველოს მეცნიერებათა აკა…იის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. ახლა კი გამოსაცემად ვამზადებთ ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონს", აი როგორი დიაპაზონია. არ შემიძლია არ მოგახსენოთ უდიდესი პოპულარობის შესახებ, რომლითაც ყაზახეთში სარგებლობს იოსებ ნონეშვილის პოეზია. მას ვიცნობდით და გვიყვარდა არა მარტო როგორც ქართველი სახალხო პოეტი, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც ღრმად გრძნობს თითოეული ხალხის სულს.

სამწუხაროდ, ყველა ქართულ თარგმანს რუსული ბწკარედების მიხედვით ვასრულებთ. ვრცელდება ქართველ და ყაზახ მეცნიერთა — მათემატიკოსთა, ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა, აღმოსავლეთმცოდნეთა ურთიერთობა, რომელთაგან ბევრმა დისერტაციები თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა. ფილოლოგთა შორის ეს ურთიერთობა შესამჩნევად სუსტია. ამასთან დაკავშირებით მინდა შემოგთავაზოთ ლატვიის მაგალითი, რომელიც ჩვენ, ისევე როგორც საქართველოს, უცვლის უნივერსიტეტის სტუდენტებს ეროვნული ენების შესასწავლად. ჩემი აზრით, ეს თანამედროვე მთარგმნელთა თაობის აღზრდის საუკეთესო გზაა. ლიტერატურას აქვს თავისი მეგობრობის ხიდი. და მას, უწინარეს ყოვლისა, მთარგმნელები აშენებენ.

…სათავე რუსთაველიდან იწყება

— საქართველოსა და ყაზახეთს შორის ასეთი მეგობრობის ხიდი დიდი ხანია არსებობს. პირველად იგი ყაზახი კლასიკოსის აბაის ნაწარმოებებმა გასდო. იზრდება პოეტებისა და მწერლების ახალი თაობა, სარგებლობს თუ არა მათი შემოქმედება თქვენი მკითხველის განსაკუთრებული სიყვარულით?

— უკანასკნელი წლების ტენდენციაა ყაზახურ ლიტერატურაში ძლიერი ახალგაზრდა პროზაიკოსების გაჩენა. მათ შორის დავასახელებ აბიშ კეკილბაევს. მისი მოთხრობა „ველის ბალადა" ყაზახეთის ისტორიისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობისადმი მიძღვნილი ციკლიდან, თარგმნილია არა მარტო რუსულ, არამედ ბევრ ევროპულ ენაზეც. დიდი წარმატება ხვდა წილად თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებებს, ეს არის ორალხან ბაკეევის მოთხრობა „გზაში" და დულატ ისაბეკოვის „უფროსი და". ქართველ მთარგმნელებს ვურჩევ ყურადღება მიაპყრონ მუხთარ შახანოვის და ფარიზა ონგარსინოვას პოეზიასაც.

სულ ახლახან საქართველოში დამთავრდა შუა აზიისა და ყაზახეთის მწერლების შეხვედრა. ბევრი პრობლემა, რომელსაც მე შევეხე, განიხილა მეგობრობის ამ დღესასწაულმა. მომავალში დაგეგმილი გვაქვს მოვაწყოთ ყველა მოძმე ლიტერატურის, და, რა თქმა უნდა, ქართული ლიტერატურის დღეები, მაშინ შევძლებთ უკვე ყაზახეთში განვაგრძოთ აზრთა გაზიარება თანამოკალმეთა თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ.

ყუსტანაის ოლქის ნაურზუმის რაიონის კოზლოვის საბჭოთა მეურნეობაში ალოობაში 20 ეროვნების 850 კომბაინერი მონაწილეობს. მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები, კომბაინერები დ. გოგოლაძე, ა. ჯაფარიძე და მ. ოჯახვერდიევი. მეურნეობა წლეულს სახელმწიფოს 5 მილიონ ფუთ პურს ჩააბარებს.

სურათზე: კოზლოვის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს მკა.

● ●

სურათზე: ალმა-ათის დიდი არხის მთავარი ჰიდროკვანძი.

ი. ბუდნევიჩის ფოტო.

საქდესის ტელეტაიპის ლენტიდან: საქართველოსა და ყაზახეთის სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლების კოლექტივებმა დადეს ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. მათ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ჩიტის უბანზე მოუწევთ ყველაზე დიდი სადგურების — ჩარისა და იკაბიას აგება.

ჩვენი თხოვნით დაწვრილებით ამბებს გვატყობინებს ჩვენი კოლეგა ბამის ჩიტის უბანზე ლეონიდ ფადეევი:

— ყაზახები ბამზე ახალბედები არიან. სულ ოთხი თვის წინ ჩამოვიდნენ ისინი მშობლიური მხარიდან იმიერბაიკალის ჩრდილოეთში. ასე გაჩნდა ტაიგის დაბა ჩარაში ახალი კუთხე — ყაზახეთისა.

შეხვედრა ბამზე

და აქ პირველი სტუმრები იყვნენ ქართველი ბამელები.

სტუმრებს აღმოსავლური სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ: უხვად და გულითადად. რადიოში ჟღერდა ქართული და ყაზახური მელოდიები. საუბარი კი ბამელებისათვის დამახასიათებელი — საქმიანი იყო.

— ჩარაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა დაახლოებით 80 მილიონი მანეთია, — თქვა მატარებელ „ყაზახბამშენის" უფროსმა მიხეილ კუშნირმა.

— ჩვენც ახლა ვზეიმობთ პირველ ახალმოსახლეობას იკაბიაში, — თქვა მატარებელ „სამშენბამის" უფროსმა ანზორ დვალიშვილმა. ჩვენც გვიჭირს, დასავლეთ უბანზე ჯერჯერობით არ არის გზები. მაგრამ ერთ საერთო საცხოვრებელში უკვე შევასახლეთ ხალხი. მალე მეორესაც ავაშენებთ.

შეხვედრა დამთავრდა იმით, რომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. იმისათვის, რომ ერთმანეთს დაეხმარონ ვალდებულებების შესრულებაში ქართველმა ბამელებმა ყაზახ კოლეგებს გამოუყვეს საერთო საცხოვრებელთა აწყობის სპეციალისტები, ყაზახებმა კი თავის მხრივ იკაბიაში დასახმარებლად გაგზავნეს ექსკავატორი კარიერის დასამუშავებლად.

გვერდის მასალები მოამზადეს გაზეთ „კომუნისტის" სპეციალურმა კორესპონდენტებმა ვასო კახიაძემ და ვლადიმერ მჭედლიშვილმა.

ლეგაისკარი კარია კირქითის ხევსურეთისა!

დღეს ზეიმია და ფართოდ იხსნება ციხე-სიმაგრეთა კარიც!

ლეგაისკარის ცოცხალი ციხე-კოშკიც მასპინძელია! პირველი მასპინძელი!

ზ. დათუაშვილის ფოტო.

სამგზურები განაწილდა

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის თბილისის საზონათშორისო შეჯიბრების უკანასკნელი ტურის წინ მხოლოდ ერთ მონაწილეს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო — მურეშანს უკვე განაღდებული ჰქონდა პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზური. „ყოველი შემთხვევისათვის" ყაიმი სჭირდებოდა ლევიტინას. რაც შეეხება ახმილოვსკაიას, გარსიას, ლიუ შილანს, გურიელსა და ტიტორენკოს, მათ მხოლოდ მოგებისათვის უნდა ეზრუნათ.

მეთხუთმეტე ტურში პირველი, რომელმაც ვერ გაუძლო უკიდურეს დაძაბულობას, გარსია გამოდგა. იგი შავებით ეთამაშებოდა ვერეცი-პეტრონიჩს. გათამაშდა ესპანური პარტიის ღია ვარიანტი. გარსიამ მეტოქის დაბნევის მიზნით გადაუხვია თეორიით რეკომენდებულ ვარიანტს და თვითონ დაიბნა. უნგრელმა მოიგო პაიკი, შემდეგ ხარისხი და გაიმარჯვა. ამგვარად, გარსია გამოეთიშა პრეტენდენტთა რიგებს. ლევიტინამ, რომელსაც სავსებით აძლევდა ხელს ყაიმი, უკვე მეათე სვლაზე შესთავაზა დაზავება პიხაილიჩს და თანხმობა მიიღო. ამრიგად, მურეშანთან ერთად ლევიტინამაც მოიპოვა პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება. ლენინგრადელი მოჭადრაკე ერთადერთია, რომელსაც ამ შეჯიბრებაში პარტია არ წაუგია.

მინოგინამ მოუგო გუგენბერგერს, ფიშდიკმა — კადილკარს, ყველა დანარჩენ პარტიაში კი მეტად მძაფრი ბრძოლა გაიმართა. ლიუ შილანი, როგორც ყველამ შეამჩნია, მეტად სწრაფად თამაშობს მაშინ, როცა მეტოქეს ცაიტნოტის საფრთხე ემუქრება, ჩინელს ერთი საათიც არა აქვს დახარჯული. თამაშის ასეთი მანერიდან ზერელობამდე ერთი ნაბიჯია. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ ტურნირში შილანს ეს უკანასკნელი ნაბიჯი არ გადაუდგამს. მეტად ენერგიულად ითამაშა მან თეთრებით ტიტორენკოსთან. ტიტორენკომ უფიმცევის დაცვას მიმართა, სულ მალე კი თამაში გადავიდა კარო-კანის დაცვის ერთ-ერთ ვარიანტში. თეთრებმა მოიგეს პაიკი და დიდი პოზიციური უპირატესობაც მიიღეს. ტიტორენკომ ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ამის შემდეგ ახმილოვსკაია ერთადერთი იყო, რომელსაც შეეძლო დასწეოდა ლიუ შილანს. ამისათვის მას აუცილებლად უნდა დაემარცხებინა თეთრებით მოთამაშე მურეშანი. გათამაშდა რეტის დებიუტი. რუმინელმა მწვავე პოზიციაში ყაიმი შესთავაზა მეტოქეს და, ცხადია, უარი მიიღო. ახმილოვსკაიამ ვერ შეძლო პერსპექტიული პოზიციის მიღება. იგი მეტად ღელავდა, მურეშანი კი ზუსტად და მეთოდურად თამაშობდა. პარტია გადაიდო მურეშანის აშკარა უპირატესობით. ასევე დაუმთავრებელი დარჩა სევერაიდ-გურიელის შეხვედრაც, რომელსაც უკვე აღარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა.

თბილისის საზონათშორისო...

გუშინ დილით დამთავრდა ეს ორი გადადებული პარტია. ახმილოვსკაია თამაშის განუახლებლად დანებდა მურეშანს. სევერაიდისა და გურიელის შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

ამრიგად 10,5 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა **მურეშანი** (რუმინეთი). მას ერთი ქულით ჩამორჩა **ლევიტინა** (საბჭოთა კავშირი). 9 ქულით მესამეა **ლიუ შილანი** (ჩინეთი). **ამ სამმა მოჭადრაკემ პრეტენდენტთა ასპარეზობაში თამაშის უფლება მოიპოვა.**

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ახმილოვსკაია, გურიელი (ორივე — საბჭოთა კავშირი), გარსია (ესპანეთი) — 8-8 ქულა, მინოგინა, ტიტორენკო (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 7,5-7,5, ფიშდიკი (გფრ) — 7, ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი), ნიკოლინი (იუგოსლავია) — 6,5-6,5, პიხაილიჩი (იუგოსლავია) — 5,5, კადილკარი (ინდოეთი), სევერაიდი (აშშ) —5-5 და გუგენბერგერი (კოლუმბია) — 1,5 ქულა.

გუშინ ჩაის სახლში გაიმართა ტურნირის საზეიმო დახურვა. საღამო საორგანიზაციო კომიტეტის სახელით გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ. შეჯიბრების შედეგები შეაჯამა მისმა მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ი. შაიტარმა (ჩეხოსლოვაკია). მონაწილეებს მიესალმნენ საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივონინი, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი პროფ. ე. გუგუშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ე. გოკიელი, ვ. სანეევი და სხვები.

მონაწილეების სახელით შეჯიბრების ორგანიზატორებს და სტუმრებს მადლობა გადაუხადა დიდოსტატმა ი. ლევიტინამ.

დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ დედაქალაქის ორგანიზაციების, მათ შორის გაზეთ „კომუნისტის" მიერ დაწესებული პრიზები.

გ. გამრეკელი.

გადამწყვეტი შეხვედრების წინ

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში დღეისათვის გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებული:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (მნ)	27	16	6	5	46-26	38
„დინ." (თბ)	27	15	6	6	46-35	36
„სპარტ."	27	14	7	6	46-28	35
„დინ." (კ)	26	12	9	5	41-17	33
„არარატი"	29	12	9	8	39-39	33
„ზენიტი"	28	11	8	9	38-34	30
„ფახთაქ."	28	10	9	9	36-34	29
„მეტალ."	29	10	9	10	28-27	29
„ჩერნომ."	28	9	11	8	25-24	28
„დნეპრი"	29	9	10	10	31-36	28
„ტორპ." (მ)	27	10	6	11	32-30	26
„დინ." (მ)	28	10	5	13	33-39	25
ცსკა	28	8	8	12	33-40	24
„ტორპ." (ქ)	28	8	7	13	34-41	23
„ყუბანი"	28	7	8	13	32-42	22
„შახტიორი"	28	7	7	14	33-49	21
„ნეფთჩი"	27	8	4	15	34-54	20
„ყაირათი"	28	5	9	14	28-45	19

გთავაზობთ თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" კალენდარული მატჩების განრიგს:

თბილისის „დინამო" სტუმრად ხუთ მატჩს გამართავს, შინ — ორს. **სტუმრად**: მოსკოვის „დინამოსთან" (16 ოქტომბერს), „სპარტაკთან" (24 ოქტომბერს), მოსკოვის „ტორპედოსთან" (28 ოქტომბერს), „ნეფთჩისთან" (შეხვედრის თარიღი ჯერჯერობით დადგენილი არ არის) და „არარატთან" (8 ნოემბერს); **შინ** თბილისელები შეხვდებიან კიევის „დინამოს" (13 ნოემბერს) და „ჩერნომორეცს" (16 ნოემბერს).

ქუთაისელებს 6 მატჩი დარჩათ გასამართავი. **სტუმრად** — ცსკასთან (30 ოქტომბერს) და მოსკოვის „ტორპედოსთან" (8 ნოემბერს), **შინ** — მინსკის „დინამოსთან" (17 ოქტომბერს), „ზენიტთან" (23 ოქტომბერს), „ყუბანთან" (13 ნოემბერს) და „შახტიორთან" (16 ნოემბერს).

კიეველები... მეოთხედფინალში

ბერნი, 8 ოქტომბერი. (საქდესი). კიევის „დინამოს" ფეხბურთელები განაგრძობენ ბრძოლას ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში. როგორც ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირი (უეფა) იუწყება, კიეველთა მეტოქემ მერვედფინალში ალბანეთის კლუბმა „17 ნენტორიმ" უარი თქვა თასის გათამაშებაში შემდგომ გამოსვლებზე.

როგორც ცნობილია, პირველ წრეში კიევის დინამოელებმა ორჯერ დაამარცხეს შვეიცარიის „გრასჰოპერსი" — 1:0, 3:0.

სიძნელეები დაძლეულია!

მეტად უჩვეულო, ჭირვეული ამინდები დაუდგა ამ დღეებში ქ. ტყიბულის ახლომახლო სოფლებს, რამაც ერთობ გააძნელა ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა. მაგრამ აქაურმა მეჩაიეებმა ბუნების ჭირვეულობას ბეჯითი შრომა დაუპირისპირეს და ამით უზრუნველყვეს ჩაის ფოთლის კრეფის სახელმწიფო დავალების ვადამდე შესრულება.

ამ რამდენიმე დღის წინათ ქალაქს თავს დაატყდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც საათზე მეტხანს გასტანა. დროის ამ მონაკვეთში უჩვეულოდ დიდი რაოდენობის ნალექი მოვიდა. წყალდიდობამ, რომელსაც თან ქარიშხალიც ახლდა, მნიშვნელოვნად დააზიანა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი კომუნიკაციები და საყოფაცხოვრებო ობიექტები. ნიაღვარმა ჩახერგა წყალჩასაშვები არხები, რის გამოც მთლიანად დაიტბორა ქვანახშირის ცენტრალური გამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორია, საამქროებში შეწყდა სამუშაოები, ჩაიშალა ტექნოლოგიური პროცესი. ფერდობებიდან მოვარდნილი ღვარცოფი შეიჭრა საცხოვრებელ სახლთა ქვედა სართულებსა და სარდაფებში, ქალაქის მთავარ ქუჩაზე შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა, დაზიანდა შახტებისაკენ მიმავალი რკინიგზის ლიანდაგები, შეფერხდა ბუნკერებით ქვანახშირის გამოზიდვა. მეხის დაცემის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა მოძრავი ელექტროქვესადგური. მნიშვნელოვნად დაზიანდა წყალსადენი, რამაც გააძნელა მოსახლეობის წყლით მომარაგება. კოკისპირული წვიმა მეორე დღესაც განმეორდა.

სტიქიასთან გასამკლავებლად ფეხზე დადგა ქალაქის მოსახლეობა, შეიქმნა სალიკვიდაციო შტაბი, რომელსაც პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. კუბლაშვილი ჩაუდგა სათავეში. სახელდახელოდ დაკომპლექტებულმა ბრიგადებმა გაწმინდეს ქალაქის ქუჩები და ეზოები, სარდაფებიდან ამოტუმბეს დატბორილი წყალი. მძლავრმა ბულდოზერებმა ქვა-ღორღისაგან გაათავისუფლეს საავტომობილო გზები და რკინიგზის ლიანდაგები, აღადგინეს ტრანსპორტის მოძრაობა.

ახლა ქალაქში წყალდიდობის კვალი აღარ იგრძნობა.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ტალინში იასპარეზებენ

თბილისსა და კუიბიშევში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები. თბილისის ტურის ბოლო ორ დღეს გამართული შეხვედრების შედეგები ასეთია: ტალინის „კალევი"-მოსკოვის „ალმაზი" — 94:95, კიევის „სტროიტელი"-რიგის ვეფი — 105:79, კიევის ასკ-მოსკოვის „დინამო" — 82:90, ასკ-„ალმაზი" — 88:80, „სტროიტელი"-მოსკოვის „დინამო" — 84:114, თბილისის „დინამო"-ტალინის „კალევი" — 79:102. თბილისის ტურის მონაწილე შვიდეულში გუნდები ასეთნაირად განლაგდნენ: მოსკოვის „დინამოს" 6 შეხვედრიდან 6 მოგება აქვს, „სტროიტელს" — 5, თბილისის „დინამოს" და ვეფს — 3-3, კიევის არმიელთა გუნდს — 2, „ალმაზს" და „კალევს" — თითო მოგება. ამ შვიდეულის მეორე წრის მატჩები გაიმართება ტალინში (19-26 ოქტომბერს) და, იქ გაირკვევა საბოლოოდ ოთხი საუკეთესო კოლექტივის ვინაობა, იმ ოთხეულისა, რომელიც საკავშირო ჩემპიონატში 8 გუნდს შორის საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უფლებას შეინარჩუნებს.

ხ. დევიძე.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭყებია.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 11 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვარიაციები თემაზე". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოლგის ავტოქარხანა. ქარხანა და ადამიანები". 11.00 — ახალგაზრდობისათვის — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდ ო ბ ა". 17.00 — მოსწავლეთათვის—რუსული ენა. 17.30 — განცხადებები. 17.35 — მოსწავლეთათვის „თეატრი და ბავშვები". 18.20 — „ხომლი" სატელევიზიო ლიტერატურული ჟურნალი (განმეორებით). 19.15 — „ხალხური შემოქმედება" — „სიმღერის შესწავლა". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ქალაქი ანარა". 22.00 „ვრემია" (მ.). 22.35 — „რუსული რომანსის საღამო" (განმეორებით). 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები. 17.25 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უზბეკეთის ქვები". 18.05 — მასწავლებლის საათი — ხაზვა. 18.50 — მხატვრული ფილმი „თავმჯდომარის ვაჟი".

სამშაბათი, 12 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი იანშინი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრკ-60" — დოკუმენტური ფილმი „მეგობრობის ხიდი". 11.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ქალაქი ანარა". 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა. 16.20 — „რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში" — გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის (მ.). 16.50 — ჩვენი რეკლამა. 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.50 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი". 18.30 — ახალგაზრდობისათვის — „ხელობა ჩვენი წინაპრებისა". 18.55 — ო. თაქთაქიშვილი. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. 19.30 — „მოამბე". 20.00 — „სსრკ-60" — „ძმურ ოჯახში". ყირგიზეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „პირველად ჩვენს ეკრანზე" — მხატვრული ფილმი „როცა საქმე ძმას ეხება". 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რთველი". 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოტექნიკა. 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები. 18.15 — განცხადებები. 18.20 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა. 19.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვაური".

ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წინანდალი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეთრი ვიზიტი". 11.00 — მხატვრული ფილმი „როცა საქმე ძმას ეხება". 12.15 — დოკუმენტური ფილმი „გულს ვრუქნი ბავშვებს". 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის — „მღერის „საუნჯე"". 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „უსახლკარო ეშმაკუნები". 18.20 — „საუბარი ლიტერატურაზე" — სტუდიაშია პოეტი კოლაუ ნადირაძე. 18.55 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი". 19.30 — „მოამბე". 20.00 — შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ევროპის პირველობაზე. სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდები. რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" ცენტრალური სტადიონიდან (მ.). შესვენების დროს — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 21.45 — „ჩაი-82". 21.50 — კინონარკვევი. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 —კამერული მუსიკის კონცერტი. 23.00 — „სსრკ-60" — „რუსთაველელები შორეულ აღმოსავლეთში" (განმეორებით). 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „მაფინი და მისი მეგობრები". 17.15 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.00 — კინონარკვევი. 18.30 — განცხადებები. 18.35 — მხატვრული ფილმი „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე".

ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აი ჩემი სოფელი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — დოკუმენტური ფილმი "36 სიხარული". 11.30 — მხატვრული ფილმი „სიხარულის ყური". პირველი ნაწილი. 12.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — ბიოლოგიის ტელეკურსი. 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — განცხადებები. 17.35 — „სსრკ-60" — „მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება" — ყაზახეთი. 18.15 — ახალგაზრდობისათვის — „გაზაფხულის პირველი ყვავილები". 19.15 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" — „ეკონომიური ეკონომიკა" (მ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — მხატვრული ფილმი „ოცნების ფრინველ ი". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „დავით კლდიაშვილის თეატრი" — დავით კლდიაშვილის დაბადების 120 წლისთავის გამო. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეგობრობის ხიდი". 17.50 — მოსწავლეთათვის — ქიმია. 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „40 გრადუსი აერომეტრით". 18.45 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა. 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არჩევანი".

პარასკევი, 15 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იმ სახლში ბედნიერებაა". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრკ-60" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ჩემი ყაბარდო-ბალყარეთი", „მურმანსკი". 11.40 — მხატვრული ფილმი „სიხარულის ყური". მეორე ნაწილი. 12.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „ექიმი თხუნელა". 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 17.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 17.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა": მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხტუნია". 18.05 — „სსრკ-60" — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება" — უკრაინა. 18.35 — „პოეზია" — ნოდარ ჯალაღონია (განმეორებით). 18.55 — მასწავლებელთა ყრილობის შესახვედრად — „ნათელი ნათელისაგან". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — კონცერტი 21.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: მოსკოვის „სპარტაკი" — ერევნის „არარატი". მეორე ტაიმი. რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან (მ.). 21.45 — „საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე". 21.50 — კინონარკვევი. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „ქართული კინოს ისტორიიდან" — მხატვრული ფილმი „დავით გურამიშვილი".

მეორე პროგრამა. 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.30 — განცხადებები. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მარად ახალი ქალაქი". 17.55 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 18.25 — კინონარკვევი. 18.35 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია. 19.20 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა".

შაბათი, 16 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეგობრობა". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — დილის გასართობი პროგრამა „რიტმი, რიტმი, რიტმი". 11.35 — ქართული მხატვრული ფილმი „დავით გურამიშვილი". 13.20 — „პოეზიის ხუთი წუთი". 13.25 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. სამხედრო საზღვრების სადარაჯოზე. სატელევიზიო ჟურნალი. 14.10 — „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის" [illegible] (განმეორებით). 14.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 15.00 — „სსრკ-60" — „ჩვენი სტუმარია ოდესის ტელევიზია". 16.30 — „პოეზიის ხუთი წუთი". 16.35 — ხუთწლედი — წელი მეორე. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩვენ ხომ მეგობრები ვართ". 17.40 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი. 18.20 — „პოეზიის ხუთი წუთი". 18.25—„კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე". 19.55 — „მოამბე". 20.25 — „წუთისოფელი" — „ხალხური პოეზიის ნამუშები". 21.15 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: მოსკოვის „დინამო" თბილისის „დინამო". რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან" მეორე ტაიმი (მ.). 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — გადაცემა „ოტელო" კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

კვირა, 17 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იხარე, ვაზო!". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — „ჩვენი ანონსი". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ლენინგრადიდან). 12.45 — „ცეროდენას ეკრანი". 13.10 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.40 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი თეატრი". 14.25 — „კინოაფიშა". 14.55 — მულტიპლიკაციური ფილმი. 15.10 — „ვერნისაჟი" — მხატვარ ვალენტინ შერპილოვის ნამუშევრების გამოფენაზე (განმეორებით). 15.40 —„ვესტნიკი". 16.10 — „ილუზიონი". 18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „ქუთაისის „ტორპედო" — მინსკის „დინამო". რეპორტაჟი ქუთაისიდან. შესვენების დროს — „მასწავლებელთა ყრილობის შესახვედრად" — „ამაგდარი" (დავით გონდაური). 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — „მოამბე". 20.30 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.). 23.05 — „ეკრანული სახეები" — მ. ნეელოვა.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



ორშაბათი, 11 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.31 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 11.15 — „დავიცვათ, გავუფრთხილდეთ ბუნებას". საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — მღერის ზუგდიდის რაიონის ვაჟთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ოდოია". 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ტ. ტაბიძის ლექსები. 12.30 — ს. რახმანინოვი. პრელუდიები. 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე. 12.45 — ქართული ეკრანის მელოდიები. 13.30 — ნ. გაბუნია. სიმღერები. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები. 14.20 — „სსრკ-60". მ. ჩერლიონისი. სიმფონიური პოემა „ზღვა". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „პაველ კორჩაგინი". II ნაწილი. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ეკონომიკა ეკონომიკური უნდა იყოს". საუბარი „ორი საწარმო — ორი შედეგი". 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.30—„ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40—„ადამიანი და კანონი". რადიოჟურნალი (მ.). 20.30 — „თეატრი მიკროფონთან". სსრკ-60. ა. კორნეიჩუკი, „ხსოვნა გულისა". კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. 23.30 — მ. დელ-მონაკოს კონცერტი. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

სამშაბათი, 12 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.31 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — მღერის ყაზბეგის რაიონის თვითმოქმედი ანსამბლი. 11.10 — „სასურსათო პროგრამა და შიგასამეურნეო დაგეგმვა". საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — ჯ. როსინი. ოპერა „ქურდი კაჭკაჭის" უვერტიურა. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა"— ე. ევტუშენკოს ლექსები. 12.30— მღერის ს. როტარუ. 12.40 — „ყველა მერიდიანზე — ფაქტები, მოვლენები, კომენტარი". 13.30 — მიკროფონთან არის ანსამბლი „ორერა". 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ეკრანის მელოდიები. 17.35 — მოსწავლეთათვის, კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!" 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ყრილობაზე ითქვა, რა კეთდება". კორესპონდენტის ნაამბობი „დიდი, საშვილიშვილო საქმე". 19.15 — ვალსები. 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — „სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები" (მ.). 20.30 — „მკვიდრი მარადისობისა". საუბარი, დ. კლდიაშვილის დაბადების 120 წლისთავისათვის. 21.00 — „ძილისპირული". 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე". 22.00 — „ქართული ხალხური სიმღერების გაკვეთილები". 23.30 — მოცარტი. პირველი სავიოლინო კონცერტი. სოლისტი დ. ოისტრახი. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.31 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქალაქური პანგები. 11.15 — „პარტიული ცხოვრება". „ანგარიშგება-არჩევნები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში". რეპორტაჟი „სოფლის კომუნისტთა საზრუნავი". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.10 — „ნაშუადღევს" საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.30 — მღერის „ცისფერი ტრიო". 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები. 14.20 — „სსრკ-60". გ. გასპარიანის კონცერტი. 17.00 — თბილისის ახალი ამბები. 17.15 — ა. გლაზუნოვი. სავიოლინო კონცერტი. 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა". 18.00— მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — ა. გაწერელია. „მოგონება გ. ტაბიძეზე". 19.15 — ეკრანის მელოდიები. 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — **მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი** (მ.). 20.30 — „თბილისი-ბაქო-ერევანი". რადიოჟურნალი (თბილისიდან). 21.00— „ძილისპირული". 21.15 — ახალგაზრდობისათვის. რადიონარკვევი „წიკლაურების, არაბულებისა და სხვათა ამბავი". 21.30 — ი. სიბელიუსი. ორი იუმორესკა და საორკესტრო სიუიტა. 21.45 — „საერთაშორისო დღიური" (მ.). 22.00 — „სსრკ-60". ი. იაკოვლევი, „ტრავესტი". რადიოდადგმა. 23.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. დუიშეევის გამოსვლა (მ.). 10.15 — „ლიტერატურული ყირგიზეთი" ალმანახი (მ.). 11.10 — „კომუნისტები". დოკუმენტური მოთხრობა „ღია ბარათი კაპიტანს". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — უკრავს პრაღის რადიოს საესტრადო ორკესტრი. 12.25 — „სცენის ოსტატები". სცენა სპექტაკლიდან „ეზოში ავი ძაღლია". მ. ჩახავას, ე. საყვარელიძის, ბ. ზაქარიაძის მონაწილეობით. 12.35 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ქეთო და კოტე". 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე. 12.50 — ო. გორდელი. მუსიკა კინოფილმებისათვის. 13.30 — მღერის ე. კაკულია. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ყველას საფიქრალი და საზრუნავი". 18.00 — სამხრეთ ოსეთის ახალი ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — **მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი**. 19.20 — ო. თაქთაქიშვილი. სამი პიესა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — მღერის გურჯაანის კულტურის სახლის ვაჟთა გუნდი. 20.30 — „სსრკ-60". საუბარი „მ. ბაჟანი და საქართველო". 21.00 — „ძილისპირული". 21.15 — საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 23.30 — ნ. პაგანინი. სავიოლინო პიესები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

პარასკევი, 15 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.30 — პროგრამა „დილის ტალღაზე". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.13 — პროგრამა „დილის ტალღაზე" (გაგრძელება). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ა. ბალანჩივაძე. ნაწყვეტები ბალეტიდან „ღლის ვარსკვლავი". 11.10 — „ლექსო, ნუ დაიკარგები". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — მღერის ანსამბლი „ფაზისი". 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე. 12.35 — მუსიკალური პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან". 13.30 — ვ. კიკაბიძის კონცერტი. 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე. 14.00 — „შემსრულებელთა სამი თაობა". კონცერტი-საუბარი. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება". უკრავს ნ. ნაფეტვარიძე. 17.40 — მოსწავლეთათვის. „მერიდიანი XI ხუთწლედი". რადიოკომპოზიცია. „კოლხეთის გადასახედთან". 18.00— „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 19.00 — „სსრკ-60". კორესპონდენტის ნაამბობი „მეგობრობის ფესვები". 19.15 — მიკროფონთან არის თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული თვითმოქმედი ანსამბლი „სინათლე". 19.30 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 19.40 — ქალაქური პანგები. 20.30 — „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის". დ. თორაძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ჩრდილოეთის პატარძალი". 21.00 — „ძილისპირული". 21.15 — „საერთაშორისო მდგომარეობა: კითხვები და პასუხები" (მ.). 22.00 — სცენები სპექტაკლიდან „ხეები ზეზეურად კვდებიან". 23.35 — ფ. ლისტი. პიესები საფორტეპიანო ციკლიდან „მოგზაურობის წლები". 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

შაბათი, 16 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები და რომანსები ლ. ჭყონიას შესრულებით. 11.15 — „ჩვენი ლაშქარი". რადიონარკვევი „ნათელი კვალი". 11.30 — საორკესტრო პიესები. 12.00 — „სსრკ-60". გვესაუბრებიან სტუმრები — ჩვენი თანამემამულენი". 12.20 — შ. მშველიძე. სიმფონია „მატი-ლიონი" და საორკესტრო პიესები. 13.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 14.00 — ა. ბულგაკოვი, „მორფი". რადიოდადგმა. 15.00 — ლ. ბერნსტაინი. მიუზიკლი „ვესტსაიდის ისტორია". 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.50 — მღერის მ. წანწკაიას ოჯახი. 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები". 17.15 — მოსწავლეთათვის. კონცერტი-საუბარი „რა გვიამბო ბუხრის ჭრიჭინამ". 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: მოსკოვის „დინამო" — თბილისის „დინამო". შესვენებისას (19.45) „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 20.45 — ი. ცაბაძე. სიმღერები. 21.00 — „ძილისპირული". 21.10 — „შოლტი". რადიოჟურნალი. 21.45 — ახალგაზრდობისათვის. „სად დავუშვით შეცდომა". 22.00 — „საღამო მშვიდობისა!" — მუსიკალური პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 23.30 — მღერის ზ. სოტკილავა. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

კვირა, 17 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.40 — დილის კონცერტი. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.23 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". საკვირაო გამოშვება. 11.15 — „პიონერთა დაფიონი" (მ.). 11.35 — „მუსიკალური რადიოაფიშა". 12.15 — „პოეტი მიკროფონთან" — ბ. ხარანაული. 12.30 — „მუსიკალური მოზაიკა". 13.30 — ახალგაზრდობისათვის. „მუსიკის საათი". 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი. 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (თბილისიდან). 15.30 — „ცხოვრების შუაგულში". რადიონარკვევი. 15.45 — მღერის ონის კულტურის სახლის ვოკალური ანსამბლი „ბუბა". 16.30 — „საერთაშორისო მიმომხილველები „მრგვალ მაგიდასთან" (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15— მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „რობინზონ კრუზო". 18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ქუთაისის „ტორპედო"— მინსკის „დინამო". 19.45 — „ქართული ჩაის ღირსებისათვის". 20.13 — „კულტურული ცხოვრების ქრონიკა" (მ.). 20.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.00 — „დ. კლდიაშვილი და ქართული თეატრი". რადიოკომპოზიცია. 22.00 — პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა". 23.30 — ე. გრიგი. სიუიტა „პერ გიუნტი". 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

9 ოქტომბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკალური ფოლკლორი. 10.20 — „სპორტლოტოს" 41-ე ტირაჟი. 10.30 — „მაღვიძარა". 11.00 — „ვემსახურებით საბჭოთა კავშირს". 12.00 — „ჯანმრთელობა". 12.45 — „დილის ფოსტა". 13.15 — „საბჭოთა კავშირი უცხოელ სტუმართა თვალით". 13.30 — „სოფლის საათი". 14.30 — „მუსიკალური კიოსკი". 15.00— „კინომოგზაურობის კლუბი". 16.00 — სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში, „ტრაქტორი" — „სპარტაკი" (ჩელიაბინსკიდან). 18.15 — „ხვალ სოფლის მეურნეობის მუშაკის დღეა". სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ვ. კ. მესიაცის გამოსვლა. 18.35 — რუს კომპოზიტორთა რომანსები სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტების რ. და კ. ლისიციანების შესრულებით. 18.50 — მულტფილმები. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა". 19.45 — „ჩემი მოსკოვი". კინოჩანახატი. 19.50 — მხატვრული ფილმი „სიყვარულის ახსნა". I და II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35— მუსიკალური ტელესპექტაკლი „ჩიტების გამყიდველი", დასასრულ ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.00 — მხატვრული ფილმი „ჩემპიონის შვილი". 11.05 — ანსამბლ „რუსული სუვენირის" კონცერტი. 11.30 — „ცხოველთა სამყაროში". 12.30 — „კინოპანორამა". 14.00 — უკრავს ს. ვორონცოვი (გიტარა). 14.25 — მულტფილმები. 15.25 — საუბარი მხატვრებზე. ი. ობროსოვი. 16.00 — კონცერტი. 16.30 — „გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები". მიმოხილვა. 17.00 — „თეატრალურ აფიშასთან". 18.00 — „სოფლის მეურნეობა". კინოჟურნალი. 18.20 — მხატვრული ტელეფილმი. 19.30 — დიდი ოქტომბრის 65 წლისთავისათვის. „ჩვენი ბიოგრაფია". 53-ე. ფილმი — „1969 წელი". 20.20 — უკრავენ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები ზ. შიხმურზაევა და ა. გარინი. 20.30 — სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში. ცსკა — სკა. მე-2 და მე-3 პერიოდები. შესვენებისას (21.00) — „ძილი ნებისა, პატარებო!" 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „ყველაფრისათვის პასუხისმგებელი".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხევსურეთი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". (განმეორებით). 11.45 — „ჩვენი ანონსი". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — ცეროდენას ეკრანი". 13.10 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.40—„მულტპანორამა". 14.55— მოსწავლეთათვის — „წიგნი ჩემი მეგობარი!". 15.25 — „ხალხური შემოქმედება". 15.50 — „ილუზიონი". 17.45 — „ვესტნიკი". 18.15 — „ხვალ სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეა" — სტუდიაშია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. კ. მესიაცი (მ.). 18.35 — „კინოაფიშა". 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.). 19.45—„ჩვენი ლაშქარი"—ნათელა დუმბაძე. 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ზღაპრის გუდა". 20.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფანჯარა". 21.00 — ა. გელმანი. „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი". შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. პირველი მოქმედება. 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — ა. გელმანი, „ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი". შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. მეორე მოქმედება.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09647 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19